


ოთველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 21 12 ოქტომბერი 1908 წ. ფასი 10 კ.

**შინაარსი:** წერა-კითხვის საზოგადოების კრების გამო.—სად არის სიმართლე? **ონისა.**—პრესა.—ქუთაისი აკაკის საიუბილეო დღესასწაულის მზადებაში, **ისოსი.**—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი. — სპარსეთი.—მეგობარს (ლექსი), **სირიაჩქონელისა.**—წარსულის მოგონებიდან (სურათი), **ან-ქანისა.**—კითხვები უპასუხოთ (ლექსი პროზათ), **ლევ. მეტრეველისა.**—მინდობილი კაცი, პროფესორ **ა. ხახანაშვილისა.**—მუშა-ფილოსოფოსი, **მან-წილისა.**—პროვინცია.—სომეხთა შორის.—კიდევ რობაქიძის ლექციის გამო, **ისოსი.** Ne sutr supra crapidam, Artemius-სა.—შანცხადებანი.

აკაკი წერეთელი.

**თფილისის საკრებულოს სცენაზე**

კვირას, 12 ოქტომბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისებისაგან წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას 3 მოქმ. კომედია

**ვაის გავეყარე—ვუის შევეყარე**

**დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი თ.**

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზოვისა, ადიგანი; ბ-ნნი აბაშიძე, შატირიშვილი, მესხი, გუნია, ივანიძე, იმედაშვილი, კარგარეთელი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

ბილეთები იყიდება იქვე კასაში.

## წ-კ. საზოგადოების კრების გამო.

დღეისთვის დანიშნულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მორიგი, წლიური კრება და აქეთკენ უნდა იქმნას დღეს მიპყრობილი ჩვენი მკითხველ საზოგადოების ყურადღება. წ.-კ. საზოგადოება ქართველთა ერის ცენტრალური კულტუ-

რული დაწესებულებაა. ამ „საზოგადოების“ ავი და კარგი ჩვენი ავი და კარგია; მისი ყოველი გასაჭირი თუ რაიმე მარცხი უნდა იწვევდეს მთელი ხალხის მწვავე უკმაყოფილებას, ისე როგორც მისი გამარჯვება უნდა ჰბადებდეს ამავე ხალხის ცხოველ სიხარულს. აქ საერთოა ჭირიცა და ლხინიც.

რას წარმოადგენს დღეს ჩვენი წ.-კ. საზოგადოება? განვლილი სამოქმედო წლის ანგარიში საკმაოთ მძიმე შთაბეჭდილებას გვიტოვებს. „საზოგადოების“ ნივთიერი მხარე, ბიუჯეტის მდგომარეობა, წევრთა რაოდენობა და მთელი მოქმედება გამოიხატება ერთი სიტყვით „სისაწყლე“! არსად არავითარი ცხოველ ძალ-ღონისა და მხნეობის ნიშან-წყალი, არავითარ გამკრიახობის მაჩვენებელი რაიმე სერიოზიული გეგმა, არავითარი დიდი საქმე, არავითარი გაბედული და თამამი მისწრაფება; ყველაფერს დაკნინებისა და დაგლახაკების ბეჭედი აზის. „საზოგადოების“ ბიუჯეტს შეადგენს რამდენიმე ასი მანათი, წევრთა რიცხვსაც საზღვრავს რამდენიმე ასი ადამიანი, ხოლო სამოქმედო ნაყოფიერების მოწმეა ორიოდე სკოლა, ორიოდე ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ორიოდე წიგნი თუ წიგნაკი. საქმის ასეთი ვითარება ნაღველსა ჰფენს გულს და მწვავე უკმაყოფილებითა ჰბოჭავს მთელს არსებას. მაგრამ, ნუ თუ მდგომარეობა უნუგეშოა? ნუ თუ საქმე დაღუპვის გზაზეა დამდგარი და აღარ შეიძლება მისი გამობრუნება სიცოცხლისა და განვითარებისაკენ? თუ წ.-კ. საზოგადოება ჩვენი მთავარი ნაციონალური დაწესებულებაა, მისი ბედი და უბედობაც უნდა ვეძიოთ მთელ ჩვენ ნაციის ვითარებაში, არ შეიძლება „საზოგადოება“ მოჰკვდეს, როცა ერი სრულებითაც არ აპირებს თანამედროვე საისტორიო ასპარეზიდან გასვლას.

და აი, თუ ჩვენს ნაციონალურ ვითარებას თვალს გადავავლებთ დიდ მანძილზე—არა მარტო შორეულ წარსულში, არამედ ახალ ისტორიაშიც—უეჭველათ დავრწმუნდებით, რომ ქართველთა ერის წიაღში დაფარულია დაუშრეტელი სასიცოცხლო ძალა, განუზომელი ენერგია მხნეობისა, შრომისა და შემომქმედებისა. ქართველთა ნაციას თვით ისტორიულ თავ-გადასავალმა შთაბერა განუდრეკელი და ამაყი სული. მრავალ ჭირნახული ქართველობა, თითქოს სიკვდილსაც კი დასცინისო, თვით ჯოჯოხეთურ ქარ-ცეცხლშიაც კი დაუჯდებელის მხნეობით წინ მიილტვის უკეთესი მერმისისაკენ. იგი მტკიცეთ ესწრაფვის სწორ-უფლებიან მოქალაქეთ შევიდეს დიად, საერთაშორისო ოჯახში. ქართველობა ღარიბია ნივთიერათ, მაგრამ მდიდარია ზნეობრივათ. ისტორია—თითქოს მრავალ ტანჯვა-ვაების ასანაზღაურებლათ—მას ხელმძღვანელათ და მეთაურათ უვლენს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ კლასს, მუშათა კლასს. ეს არ არის ბურჟუაზიულ თუ ანტიკურ საზოგადოების ლუმპენ-პროლეტარიატი (თავზე ხელ-აღებული ბრბო), ეს არის მუშა ხალხი, გაცისკროვნებულ უმაღლეს საკაცობრიო აზრით, გაფაქიზებული და გაკეთილშობილებული უდიდესი ზნეობრივი იდეალით. ეს კლასი დაბადებული ბრძოლისათვის, მისი არსება ნაწრთობია ბრძოლაში და იგი ბრძოლითვე იკაფავს ეკლიან გზას თავის ისტორიულ დანიშნულების აღსასრულებლათ. კლასიურათ ცნობიერებით ძლევა-მოსილი, მუშა ხალხი თავგანწირულათ იბრძვის საკუთარ კლასის ბედნიერებისათვის და მით იგი თავის გოლიათურ მხრებით წინ მიაქანებს მთელ ნაციას უმწვერვალეს საკაცობრიო ჰორიზონტებისაკენ.

დიახ, ქართველობა, წინააღმდეგ თავ-ბრუ-დამხვევ დაბრკოლებათა, მაინც ბეჯითათ მიდის წინ სიცოცხლის და განვითარების გზაზე. მაშასადამე, არ შეიძლება—ჩვენი კულტურული დაწესებულებანი ხანგრძლივათ აღონ-ღოლებდენ უილაჯო და უფერულ არსებობას, არ შეიძლება ჩვენი ცენტრალური კულტურული დაწესებულება განიცდიდეს სასოწარმკვეთ უნუგეშობას. ცხადია, რომ მისი დღევანდელი სავალალო მდგომარეობა მხოლოთ ერთი მომენტია, დროებითი და წარმავალი. მაშ, ჩვენი ვალია ყოველი ღონე ვიღონოთ, რომ ეს მომენტი, რაც შეიძლება, მალე წარვიდეს.

ჩვენ აქ არ შევეხებით იმ საერთო, პოლიტიკურ პირობებს, რომელიც წ.-კ. საზოგადოებას ძალუმათ უბორკავენ ხელ-ფეხს. ამ პირობებთან რადიკალური გამკლავება არც შეიძლება მოხდეს „საზოგადოების“ ფარგლებში. ჩვენ აქ დავასახელებთ იმ ზომებს, რომლის განხორციელება თვით საზოგადოებისავე ხელშია. მოკლეთ რომ ვთქვათ, ეს ზომები შეიცავენ მთელ „საზოგადოების“ რეორგანიზაციას თავიდან ბოლომდე. საჭიროა შეიცვალოს მისი შედგენილობა და მთელი შინაარსი.

სხვა დაჩაგრულ ნაციას შეუძლიან პატარა „საზოგადოების“ ფარგლებშიაც დიდი საქმე გაკეთოს, რადგან სხვათა მოღვაწეებს შეუძლიანთ თვით შემთხვევით მილიონერ ქველმოქმედების დახმარებით პატარა საზოგადოებაშიც დიდი თანხა აატრიალონ. ჩვენთვის ეს ხელმიუწდომელია. ჩვენი წარმატების ერთათ ერთი თავმდებია ყველა ჩვენი ძალების შეჯგუფება—შეკავშირება, ჩვენი ძალა მხოლოთ ერთობაშია. ამიტომ წ.-კ. საზოგადოების გარშემო საჭიროა მოხდეს ყველა კულტურულ დაწესებულებათა კონცენტრაცია. ეს კი მოითხოვს იმას, რომ წ.-კ. საზოგადოება გახდეს მთელ ნაციის კუთვნილებათ ანუ სხვა სიტყვებით, მთელი ნაცია უნდა გახდეს ამ „საზოგადოებათ“. საწევრო ფული ისეთი მინიმალური უნდა იყოს, რომ არ იპოვებოდეს არც ერთი სრულ წლოვანი ქართველი, ვისაც შეეძლოს თავი იმართლოს—საწევრო ფული ხელ მოკლეობითი ვერ გადავიხადეო. საწევრო გადასახადების აკრეფა ისე უნდა მოეწყოს, რომ დანიშნულ ვადაზე აუღებელი არ რჩებოდეს არც ერთი კაპეიკი. ამ „წ.-კ. საზოგადოების“ ხელში უნდა იყოს არა მარტო პირველ დაწყებითი სკოლები და სამკითხველოები, არამედ მთელი სწავლა-განათლების საქმე. მის მართვა-გამგეობაშივე უნდა იყოს მუზეუმი, ნაციონალური ბიბლიოთეკა, თეატრი,

მუსიკა, ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერების საქმისთვის მზრუნველობა, ერთი სიტყვით, მთელი ნაციონალ-კულტურული საქმე.

ვიდრე ჩვენ მივაღწევდეთ ავტონომიის განხორციელებას, საჭირო „წ.-კ. საზოგადოება“ იყოს ჩვენი ნაციონალური სათათბირო.

აი, ამ მიზნისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი ჩვენი გულის ყური, ამის განხორციელებისათვის უნდა ვიმუშაოთ დღეიდანვე.

## საღ არის სიმართლე?

(ახლო წარსულიდან).

### II

პარტიის ნორჩ ორგანიზმზე ხორცმეტათ ამოსული ნაროდნიკულ-იდეალისტური ჯირკვები დროზე მოჭკვეთეს გამოცდილ დოსტაქარის დანიო, პლეხანოვმა და მის მახლობელ თანამშრომლებმა; მათვე ბოლო მოუღეს მარქსიზმის მავნე ვულგარიზაციას, რასაც აწარმოებდენ „ეკონომისტები“; მათვე გაასწორეს ახალგაზდა ამხანაგებისაგან გამრუდებული ხაზი სოც.-დემოკრატიულ მოქმედებისა.

მაგრამ, ამით საქმე საბოლოოთ მაინც არ გასწორებულა. არ მოსპობილა შესაძლებლობა ძველ ჯირკვებს ახალი ყლორტები ამოეხეთქნა ხოლმე. ისტორიის უფსკრულში დამარხული ძველ რევოლიუციონერების ძველი თეორია და პრაქტიკა ხანდასმით ევლინება თავის მემკვიდრეს—მართალია სრულიად სხვაგვარ ბუნების და ხასიათის, მაგრამ მაინც კანონიერ მემკვიდრეს—სოციალდემოკრატიას და მას ძალუმათ უბორკავს ხელფეხს გოლიათურ მსვლელობაში.აქ კვლავ მართლდება მემკვიდრეობის შენობის აღმნიშვნელი ძველ იურისტების თქმულება: „მკვდარი ცოცხალს ებღაუქებაო“. და ეს აგრეც უნდა ყოფილიყო. ამას იწვევდა ერთი მხრით, რუსეთის განსაკუთრებული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება და მეორე მხრივ, თვით სოციალდემოკრატიის განსაკუთრებული გენეზისი, წარმოშობა და განვითარება.

რუსეთის მშრომელი ხალხი დიდი ხნიდანვე განიცდის აუტანელ ტანჯვა-ვებას; უკიდურესი სისაწყლესიღატაკე და თვით შიმშილობა გამუდმებით მას თავს დასტრიალებს. ძველი რეჟიმის რკინის სალტეები კი არ იძლევა არავითარ საღსარს, არავითარ გასაქანს ადამიანის თაოსნობა-თვითმოქმედებისათვის. მთელი ეს ატმოსფერა საფლავის ლოდივით აწვება განათლებულ და განვითარებულ პიროვნებათ. ესენი სწრაფათ ჭკარგავენ მოთმინებას და კეთილშობილურ აღტყინებაში ლამობენ გმირულის ხელის მოქნევით ქვეყანას გადაძირონ სიკვდილის სუდარა და მშრომელ ხალხს გაუღონ ადამიანურ ცხოვრების კარი. ესენი ესწრაფიან, ან ერთის დაკვრით მოსპონ მთელი სიდუხჭირე და ან ბოლო მოუღონ საკუთარ არსებობას, სამარცხვინო სიცოცხლის მაგიერ ჰპოვონ სიკვდილი სახელოვანი. ასე, რომ ინტელიგენცია—ამ სიტყვის რუსული მნიშვნელობით, ე. ი. განათლებულ-განვითარებულ და ხალხის ჭირ-ვარამის თანაზიარი პიროვნებანი—იმ თავიდანვე ბუნებრივის აუცილებლობით მიდრეკილია ტერორისა და შეთქმულობისაკენ. ხოლო სოციალდემოკრატიის თეორია და პრაქტიკა—როგორც იცით—უაღრესათ ევოლიუციონისტურია, იგულისხმებს თანდათანობით, მძიმე და ხანგრძლივ განვითარებას. მარქსისტისათვის საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნებრივი პროცესია—როგორც ამას მშვენივრათ გამოსთქვამენ იტალიელი სოციალდემოკრატიის თეორეტიკოსები—და თვით რევოლიუცია მხოლოთ ერთ-ერთი რგოლია ამ ბუნებრივი პროცესისა, იგი ლოლიკური დასკვნაა მთელი წინასწარი ხანგრძლივი განვითარებისა. რაღა თქმა უნდა, რომ რუსეთის სინამდვილეში მოტანებული სოც.-დემოკრატიული ინტელიგენცია ერთობ ძნელათ ეგუებოდა თავის საკუთარ მოძღვრებას. ინტელიგენციას კი ერთობ დიდი როლი ჰხედა წილათ რუსეთის სოციალდემოკრატიაში. უკანასკნელი წარმოიშვა და მან იწყო განვითარება იმ დროს, როცა ამ იმპერიაში არავითარი ნიადაგი არ იპოვებოდა ნამდვილ სოც.-დემოკრატიულ პრაქტიკისათვის, მუშათა მოძრაობის საწარმოებლათ. ცხადია ს.-დ. ინტელიგენცია მუშათა კლასს ევლინებოდა მამა-მზრუნველათ, აპეკუნათ. სოც.-დემოკრატიის პრაქტიკას მუშები კი არ ჰქმნიდენ, ინტელიგენტები აკეთებდენ. ამ ინტელიგენტებს კი, სხვა არა იყოს რა, მარტო ატავიზმის კანონით უნდა გამოეჩინათ ხოლმე თავიანთ წინაპარის—ნაროდნიჩესტვოს.—ზნე-ჩვეულება. ამასთანავე, რაკი სოციალდემოკრატიაში ჩნდებოდა უცხო მიმდინარეობა, ამას ბუნებრივის აუცილებლობით უნდა გამოეწვია ხოლმე წინააღმდეგობა იმ ამხანაგების მხრივ, რომელნიც მტკიცეთ შერჩებოდენ პარტიულ მოძღვრებასა და ტაქტიკას. ხოლო წინააღმდეგობა და ბრძოლა კიდევ თავის მხრივ, თითქმის აუცილებლათ ჰბადებს ხოლმე მეორე უკიდურესობას.

ასე და ამრიგათ, რუსეთის სოციალდემოკრატიას იმ თავიდანვე ბედისწერასავით განუშორებლივ თან სდევს რასკოლი, განხეთქილება და პარტია ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობას აწყდება გაუთავებლივ. რაღა საკვირველია თუ „ეკონომიზმისა“ და „პოლიტიკიზმის“ ადგილას*) მალე პარტიაში ჩნდება ორი ახალი მიმდინარეობა „ბოლშევიზმი“ და „მენშევიზმი“, რომელნიც ხშირათ ივიწყებენ საერთო მტერს და სამკვდრო-სასიცოცხლო გამწარებით ეხეთქებიან ერთმანეთს. მოკლეთ საქმე ასე გახლდათ.

„ეკონომისტების“ მთელი მისწრაფება, მოქმედების თავი და ბოლო—როგორც აღვნიშნეთ წინა წერილში—იმაზე იყო მიმართული, რომ გამოეწვიათ როგორმე მუშათა მოძრაობა, რაც უნდა ყოფილიყო და როგორიც უნდა ყოფილიყო იგი. და მათი მოქმედება როდი დარჩენილა უნაყოფოთ. „ეკონომიზმის“ დიდი

*) იხ. პირველი წერილი, „ჩვენი კვალი“ № 19.

ღვაწლი პარტიის წინაშე ის არის, რომ მან დაბეჩავებული მუშები გამოაფხიზლა ღრმა ლეტარგიულ ძილიდან, მან საოცრათ ხელი შეუწყო მუშათა მასსის ამოძრავებას. ვის არ ახსოვს პირველი დიდი ეკონომიური გაფიცვები, რუსეთისათვის წარმოუდგენელი გაფიცვები, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ მრავალი ათასი მუშები! მუშათა მასსის ასპარეზზე გამოსვლა კი ჰნიშნავდა „ეკონომიზმის“ თავის თავათ მოსპობას: საქმე ის არის, რომ ძველი რეჟიმის პირობებში ყოველი, თავისთავათ უბრალო და უწყინარი ეკონომიური გაფიცვა ძალიან ადვილათ იღებდა ხოლმე პოლიტიკურ ხასიათს: გაფიცულ მუშების თავხედობის ასალაგმავათ მთელის სასასტიკით გამოდიოდა ხოლმე პოლიცია და ადმინისტრაცია. ეს გარემობა, თვით შეუგნებელ მუშებს ძალიან მეტევრმეტყველურათ ჩასჩიჩინებდა, რომ მათ წინააღმდეგ სდგას არა მარტო ხაზინა, კაპიტალისტი, არამედ აგრეთვე სხვა, უფრო ძლიერი და მკაცრი ძალა, და მეტათ ადვილიც ხდებოდა იმის დასახელება, რომ ეს ძალა იყო სახელმწიფოს მთელი მექანიზმი, ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის სახით. მუშათა მოძრაობის გვერდით ძლიერდებოდა სტუდენტობის არეულობა, მოსწავლე ახალგაზდობის მოძრაობა. მუშები ჰხედავდენ, რომ თვით ბურჟუაზიის შვილები, ვის თეთრ ხელებსაც არც ფაბრიკა-ქარხნის მანქანების ჭუჭყი მისცხობოდა და არც თოხ-ნიჩაბი აკოჩრებდა, თვით ეს ახალგაზდანი დრტვინავდენ, „ბუნტობდენ“ და მათ წინაღმდეგ ზუზუნებდა იგივე „ნაგაიკა“, რომელიც ასე უწყალოთ დასეირნობდა მუშათა ზურგზე. მუშები ჰხედავდენ აშკარათ, რომ რაიმე კოლექტიურ მოთხოვნების წამოყენება, კრებების გამართვა, თავისუფალი სიტყვა და წერა სასტიკათ აკრძალული იყო არა მარტო მუშებისათვის, არამედ ყველა საზოგადოებრივ კლასების ადამიანებისათვის. ასე, პირველ გეგმაზე, მთელის სიდიადით, თავის თავათ დგებოდა სახელმწიფოს ძირითადი, პოლიტიკური საკითხი—ბატონყმურ მონობის მოსპობა, იმპერიის მთელი ხალხის პოლიტიკურ ბორკილებისაგან განთავისუფლება.

აქ „პოლიტიციზმს“ ერთბაშათ მიეცა ფართე და ნაყოფიერი ნიადაგი მოქმედებისათვის. „პოლიტიკოსები“ ნიშნის მოგებით გაიძახიან, რომ იგინი მართალნი იყვენ, როცა თავიდანვე ამტკიცებდენ და დაჟინებით ხაზს უსვამდენ სახელმწიფოს ძირითად, პოლიტიკურ საკითხს და აქეთ ეზიდებოდენ პარტიის მთავარ ენერგიას, რომ მართალნი იყვენ, როცა დასცინოდენ მოქმედების დახურდავებას „კაპეიკებისთვის“ ბრძოლაზე და რაღაც კერძო უფლებებისაოვის ოცნებაზე. როცა ვამბობთ „პოლიტიციზმს“ ფართე და ნაყოფიერი ნიადაგი მიეცაო, ამით აღვნიშნავთ თვით „ბოლშევიზმის“ წარმოშობის მომენტს, რადგან „ბოლშევიზმი“ იგივე „პოლიტიციზმია“, მხოლოთ უფრო განვითარებულ და გართულებულ ფორმით. „ბოლშევიკების“ პოზიცია შესანიშნავათ გაამგრა რუსეთ-იაპონიის ომიდან ჩამოგდებულ ვითარებამ. დასახელებულ ომმა—როგორც მოგეხსენებათ—საოცრათ დაჩქარა განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყება; მან პირველმა ჩამოჰკრა რევოლიუციის ზარი რუსეთის იმპერიაში; მან ყველასთვის დასანახ სიცხადით ნათელ ჰყო ძველი რეჟიმის მთელი სიდუხჭირე და გახრწნილება; მან პირველმა შეარყია მთელი იმპერია, შესძრა მთელი ხალხი და საყოველთაო პოლიტიკური დრტვინვა და აღშფოთება გამოიწვია. „მეხს ჯერ არ უქექნია, ქარტეხილი ჯერ არ ამოვარდნილა, მაგრამ ჰაერი გაჟღენთილია რაღაც ელექტრონის ტოკებით და ეს ამღელვარებს გრძნობას და აფრთხილებს გონებას“, ამას ყველასათვის გასაგებათ ჩურჩულებდენ ბურჟუაზიის გადაფიქრებული იდეოლოგები. შიში და სიხარული ერთმანეთში ილესებოდა, უკან დახევა კი არავის ფიქრათ აღარ მოსდიოდა; „რაც ქვეყანას, ის ჩვენ“! ხმაურობდა უკიდურესათ ლაჩარი და დავრდომილი ნაწილი საზოგადოებისა; „ხალხთან ერთათ!“ იყო საერთო ლოზუნგი. ეშვი აღარავის ჰქონდა, რომ დღეს-ხვალ მოზღვავდებოდა სახალხო მოძრაობა, იფეთქებდა მრისხანე რევოლიუცია. სოციალდემოკრატია აშკარათ ჰხედავდა, რომ არამც თუ გლეხ-კაცობა, თვით ქალაქის პროლეტარიატის მასსაც სრულიად მოუმზადებელი იყო ასეთ პასუხსაგებ მომენტისათვის. სახალხო ამბოხების გამოწვევა, თვით შეიარაღებული აჯანყების მოხდენა თავისთავათ კ-დევ ვერ იქნებოდა გამარჯვების თავმდები. მონობა-მჩაგვრელობის წინაღმდეგ ამდგარი ხალხი კი მიანგრევ-მოანგრევდა არსებულ წესწყობილებას, მაგრამ თუ მას გათვალისწინებული არ ეჰნებოდა ის, თუ რა უნდა დამყარებინა ძველის ნაცვლათ, მაშინ უმალვე ძველი რეჟიმის ნანგრევებზე ბნელი ძალები კიდევ უფრო მკვიდრათ გადასჭიმავდენ თავიანთ ძველს, მაგრამ ხელ-ახლა აგებულ სრა-პალატებს. მაშ, ხალხი თვითონ ვერ უპატრონებდა თავის თავს, სასიკეთოთ ვერ წაიყვანდა თავის მოძრაობას, ის თვითონ ვერ გამოსჭედავდა საკუთარ ბედს, ვერ უწინამძღვრებდა თავის თავს. ხალხისათვის გზის მაჩვენებლათ ვისმე უნდა მიეშველებინა ფარანი, ვისმე უნდა წარეგზავნა წინამძღოლი და ეს უკანასკნელი იქნებოდა კიდეც მთელ მოძრაობის სვე-ბედის გადამწყვეტი. ხალხისათვის მზრუნველობა და პატრონობა ხომ რუსეთის ინტელიგენციას იმ თავიდანვე თავის წილ-ხდომილ მისსიათ მიაჩნია და ამ ინტელიგენციის უძლიერესი ნაწილი სოციალდემოკრატია, რა თქმა უნდა, არ დაახანებდა ამ მისსიის შესრულებას.

კვლავ წინ დგება, პირველ გეგმაზე იქიმება იდეა და პიროვნება. იდეალისტურ, ნაროდნიკულ მოძღვრების დებულება, რომელიც აღიარებს იდეისა და პიროვნების უაღრესობას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ისტორიაში, ეს დებულება კვლავ საფუძვლათ ედება ისტორიულ მატერიალისტების, სოციალდემოკრატების მოქმედებას. აქ არის ბოლშევიკების განსხვავებული ტაქტიკა; აქ არის ბოლშევიზმის ძირი...

**ონ.**

# პრესა

—:—

ჩვენი მოკამათე გაზ. „ეკლიდან“, ჩახვეწილა გაზეთის ქვედა სართულში (ფელეტონი, № 31) და ახლა იქ ცმუკავს და ჭყლოპინობს: „დილილმე-ტალალმე, „კვალელები“-ო-ო, დავამარცხე მე-ო“! „გამარჯვებული“ ფალევანი მოგვმართავს: „ნეუჟელი“ არ გესმით, რაზე გვაქვს უმთავრესათ დავა?“ და იგი „იძულებული ხდება კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი საკამათო კითხვის არსებით მხარეს“. კამათის არსებითი მხარეო—აცხადებს ფალავანი—არის... „სადამოჟნო კედლების“ კითხვა! აფსუს!.. მაგრამ ჩავყვეთ. იგი ასე დაასკვნის ჩვენს კამათს: 1) „ჩვენი კვალის“ პუბლიცისტი, „დიდი“ ამხანაგი გვასწავლიდა „დღეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სადამოჟნო კედლები აღარ არსებობსო, „ეკალმა“ კი დაუმტკიცა, რომ ასეთი კედლები არსებობს; 2) იგივე „დიდი“ ამხანაგი გვასწავლიდა, რომ რუსეთის კაპიტალისტები **პრინციპიალურად** წინააღმდეგნი არიან მფარველობით სისტემისაო, „ეკალმა“ დაუმტკიცა, რომ ესეც შეცდომაა.

აი ამ „გამარჯვებით“ ფაფხურობს ჩვენი ფალავანი. დიდება მათს გოლიათობას! ამ „გამარჯვებას“ ასუსტებს მხოლოთ ერთი „პატარა“ გარემოება: ფალევანს ამ შემთხვევაში ორი ჰქონია მხოლოთ ქარის წისქვილებთან და არა „დიდ“ ამხანაგთან.

დღეს, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის რომ არსებობს სადამოჟნო საზღვრები თუ „კედლები“, ეს იციან არა მარტო „დიდებმა“, არამედ აგრეთვე პატარა ადამიანებმაც, ეს იცის ყველა მედუქნემ, ეს იცის ბულვარის მტკეპნელ დელიღანტებმაც. რუსეთის კაპიტალისტები რომ ვერ იქნებიან პრინციპიალური მოწინააღმდეგენი მფარველობითი სისტემისა, ეს იციან არა მარტო მეოთხე კლასის გიმნაზიელებმა, არამედ აგრეთვე იმათაც, ვისაც „მიდღემჩი“ გიმნაზია არც კი უნახავთ; ეს იცის ყველამ, ვისაც აქვს „თვალნი ხედვათ და ყურნი სმენად“. მფარველობით სისტემის პრინციპიალურათ წინააღმდეგნი როგორ იქნებოდენ რუსეთის კაპიტალისტები—სუსტნი და უილაჯონი ევროპიელ თანამოძმეთა წინაშე—როდესაც თვით ინგლისისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ფრიტერედერებიც არიან ამ სისტემის **პრინციპიალურათ** წინააღმდეგნი. მაგრამ ჩვენ შორის კამათი გამოიწვია სრულიად სხვა საგანმა.

ერთ წერილში ჩვენ ვწერდით—როდესაც რუსეთსა, სპარსეთსა და ოსმალეთში დამყარდება თანამედროვე, **მზგავსი** სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, ამ ნიადაგზე გაჩნდება ძლიერი იდეიური ურთიერთობა, ზე-გავლენა, ამ სახელმწიფოებში მცხოვრები ქართველებიც ერთმანეთს შეუკავშირდებიან ნაციონალ-კულტურულათ (იდეიურ-სულიერათ), ამაზე „ეკლის“ ფალავანმა ხელები გაასავსავა და გადმოგვძახა: აბა ეგ როგორ შეიძლება „ისინი (სპარსეთ-ოსმალეთის ქართველები) ხომ მაინც სხვა სახელმწიფოში იქნებიან, **ჩვენსა და მათ შორის სადამოჟნო კედლები იქნება?**“ („ეკალი“ № 21) აშკარაა, ჩვენს ფალევანს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სადამოჟნო საზღვრები წარმოდგენილი ჰქონდა, ვითარცა საშუალო საუკუნეების კედლები. ამიტომ, ჩვენც ავუხსენით, რომ **ასეთი** კედლები დღეს არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ჩვენ „ვასწავლიდით“, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესია ერთმანეთთან რაც შეიძლება მეტი და მჭიდრო ეკონომიური და იდეიური ურთიერთობა იქონიონ (ჩვენ მაგალითითაც განუმარტავდით, თუ დღეს, ბურჟ. სახელმწიფოთა საზღვრებზე სხვა საქონელთან ერთათ როგორ გადადი-გადმოდიან წიგნები და ჟურნალ-გაზეთობა, მაშასადამე იდეები, აზრები, შეხედულებანი და გრძნობები). სხვათა შორის შევნიშნავდით, რომ რუსეთის ბურჟუაზია ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა, რადგან ძველი მთავრობის სავაჭრო-სადამოჟნო სისტემა და მთელი პოლიტიკა რუსეთის ვაჭრობა-ძრეწველობასა, მეურნეობასა და ქვეყნის მთელ იდეურ ცხოვრებასაც საპყრობილეს კედლებათ გადაექცა. და აი, ეხლა „ეკლის“ ფალავანი გამოსულა და გაიძახის: „თქვენ უარყოფდით და ჩვენც ის დაგიმტკიცეთ, რომ მფარველობითი სისტემის (სადამოჟნო კედლების) კითხვაში რუსეთის კაპიტალი პრინციპიალურათ ემხრობა, ან უკეთ რომ ვთქვათ თვითონ იმხრობს მთავრობასო“. მაშ, ჩვენს მოკამათეს უკამათნია იმაზე, რაც ჩვენ შორის სრულებითაც არ ყოფილა სადაო და საკამათო. მაგრამ, ცხადია რამდენიც უნდა ვუჩიჩინოთ და ვუმეორათ ერთი და იგივე „ეკალისტ“-პოლემისტს ეს მაინც ამაო იქნება, რადგან „უკურნებლათ ყრუ არის იგი, ვისაც არ უნდა შეისმინოს“. ჩვენც დაგვრჩენია გაჩუმება.

* * *

„ეკალის“ ფალევანი თავის ფელეტონის დასასრულ სრულიად მოულოდნელათ მაინც ნაღვლიანობას ეძლევა! იგი ქოჩორში ხელს ივლებს და რაკი იმ ადგილას, სადაც ერთხელ ხუჭუჭი კულულები ჰქონდა, მას ეხლა მარტო გათხელებულ თმის ბუწუწები ჰხვდება, მოსთქვამს: „სიბერემდის სიქაჩლეს უნდა მოელოდეო. ასეთია დღეს ჩვენი მდგომარეობა“.—Баатюшки вы мои!.. მაგრამ, ფალევანი მალე გულს იბრუნებს და დიდის რიხით ტრაბახობს: იმ დროს, როდესაც „დაუნდობელი მტერი დაუღალავათ სტყორცნის ისარს ჩვენს პარტიას, როდესაც გარეშე მტერი ყოველ მხრიდან შემოსეულია“, მხოლოდ ერთათ-ერთი „ეკალის“ ფალევნები იცავენ და ამაგრებენ პარტიის ბანაკს. „ეკალის“ სარდალი ამათ უყივის „ჩვენ კვალს“: „ამხანაგნო“, სადა ხართ და რომელსა მხარესა“... „კვალელები“ კი მაინც არ სჩანანო, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არც ქვევით და ზევითო. მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, ვინ შემოსევია პარტიას? „ეკალის“ მეფელეტონე თვითონვე ასახელებს: ესენი არიან „ამირანელები“, „ზაკავ. ობოზრ.“-ისა და „ნიშადურ-საქართველოს“ ურდო. ამათზე შემდეგი უნდა შევნიშნოთ.

„ამირანელებთან“ და ყველა სოც.-ფედერალისტებადან ჩვენ თავიდანვე გარკვევით გავიმიჯნენით; მათთან ხელჩართულ ომს არ მივცემივართ, რადგან საპიროთ არ მიგვაჩნია. ჩვენი იმათთან დავა უკვე ძველისძველი საქმეა. მათთან ხშირათ და ბევრჯერ გვქონია კამათი; ამას კვლავაც მოვესწრებით. აქ, საშური არაფერია. რაც შეეხება „ზაკ. ობ.“-ეს უმალ უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან იქ დაბანაკებულნი. იქ ჩვენ არამც თუ არა ვხედავთ ნაციონალ-დემოკრატებს, თვით იმათი ლიბერალიზმიც ძალიან საეჭვო ღირსებისა. როდესაც „ზაკ. ობ.“ ჩამოქვეითდა კავკასიის უმაღლეს მთავრობის ოფიციოზურ ორგანომდე, მუშათა პარტიისათვის მათთან კამათი ძალიან ნაკლებათ ღაა საინტერესო. დაგვრჩა „ნიშადურელები“. ესენი თავის მედგარ კამპანიას ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მხოლოდ იმდენათ ეწევიან, რამდენადაც საქმე ეხება ხოლმე ილია ჭავჭავაძის ვერაგულათ მოკვლას. მაგრამ, ამ საგანზე კამათი საზოგადოთ ყველა ჯურის ხალხთან უკვე კი ხანია გათავებული და გადაწყვეტილია. დღეს ყველა რიგიან ადამიანმა თავის სინდისის წინაშე კარგათ იცის, რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიას არავითარი ბრალი არ მიუძღვის მგოსნის მკვლელობაში. ამ საგანზე პოლემიკა ჩვენთვის ზნეობრივათ მუდამ მეტათ სამძიმო იყო. და მაშინაც კი, როცა კამათი უმაღლესათ გამწვავებული ხდებოდა, ჩვენ ძალიან ვზოგავდით დროსაც და გაზეთის ადგილსაც. ზოგჯერ ჩვენ პირდაპირ წინააღმდეგიც ვიყავით პასუხი მისცემოდა ჩვენ გააფთრებულ მოკამათეებს. ამას, ე. ი. გაჩუმებას, ითხოვდა პარტიის სახელის პატივისცემა. ჩვენი მოსაზრება იმდენათ მართალია, რომ ერთხელ ასევე შეხედა საქმეს „ეკალის“ ერთ წინაპარ გაზეთმა, როცა იქ „ჩვენი კვალის“ დღევანდელი ხელმძღვანელი ალარ იმყოფებოდა. ასე, როდესაც „ნიშადურმა ერთ თავის მეთაურ წერილში გამოაფინა საზარელი ბოდვა, გიჟური რეტორიკა (იხ. „ნიშად“., № 38) თქვენმა გაზეთმა ამ წერილიდან მოიყვანა უფრო დამახასიათებელი ადგილები და ამას არავითარი კომენტარიები ალარ გაუკეთა. ამით თქვენმა წინაპარმა დიდი პოლიტიკური ტაქტი გამოიჩინა. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს იყო მხოლოთ ერთ №-ში, ჩვეულებრივათ კი თქვენ თითქოს საბაბს ეძებდით, რომ ერთი ვაი-უშველებელი დაგეყენებინათ. რათ იქცეოდით ასე? ალბათ იმიტომ, რომ თქვენ პარტიის დამცველობა ისევე გესმით, როგორც ერთ სოც.-დემოკრატ დეპუტატს, რომელიც სახ. დუმაში ამტკიცებდა—სოციალ-დემოკრატები სრულებითაც არ არიან ყაჩაღები, ქურდები და ჯიბგირებიო... ჩვენ გვძაგს პარტიის ასეთი ვეჭილობა, ჩვენ შორს ვერიდებით ამგვარ პოლემიკას.

დღეს ჩვენ პარტიას მართლაცა ჰყავს საშიში მტრები, იგი მართლაც დიდ განსაცდელშია, მაგრამ, სამწუხაროთ, თქვენ ამას ვერ ჰხედავთ ან არ გინდათ დაინახოთ. დღეს, ჩვენი დიდი საპირბოროტო საკითხია ნაციონალურ პროგრამის შემუშავება და მიღება და პარტიის გაწმენდა იმ ოპორტიუნიზმის შხამიან ბაცილებიდან, რაიც მით უფრო საშიშია, რომ ამათ, ამ ბაცილებს აჩენენ მემარცხენე ურან-ფლანგის ლიდერებათ ცნობილი ამხანაგები. ნაციონალური საკითხი და ოპორტუნიზმის,ანუ უკეთ,—კადეტიზმის ელემენტები,—აი,აქ არის ნამტკივნი ადგილი, აქ არის საშიში იარა, დიდი ჭრილობა. ჩვენც ამას დავტრიალებთ მზრუნველობით და შეძლებ'ა და გვარათ ვცდილობთ მის გამრთელებას. თქვენ კი, რამდენათაც ამ ადგილს ეხებით, ჭრილობას უფრო აღრმავებთ და აფართოებთ. თქვენ იმ ტაქტიკას ადგებით, რასაც აწარმოებდა შორეულ აღმოსავლეთის „სახელოვანი“ ჯარი, რომელიც მტრებისაკენ მიმიზნებულ თოფ-ზარბაზნებით თავის საკუთარ ამხანაგებსავე ულეტავდა.

დასასრულ, თქვენ „ჩვენი კვალის“ ჯგუფს დაცინვით ლაშქარათ იხსენიებთ, უნდა მოგახსენოთ, რომ... ...სცდებით. ჩვენ როდი ვიქადით წეგრთა სიმრავლეს. ჩვენი ჯგუფი, ე. ი. **აშკარათ** ჩვენთან მდგომ ამხანაგთა კრებული, პატარაა. ჩვენ ცოტანი ვართ, მაგრამ... მაგრამ, სხვაც არა იყოს რა, მარტო ის გარემოება, რომ ჩვენს რედაქციას თითქმის ყოველ დღე მოსდის მრავალი წერილები, რომლითაც თანაგრძნობასა და სოლიდაროობას გვიცხადებენ, როგორც ჩვენთვის უცნობი პირები, ისე პარტიული ამხანაგებიც, ეს გარემოებაც გვიასკეცებს მხნეობას და გვიფოლადებს რწმენას, რომ „ჩვენი საქმე მართალი საქმეა“ და იქნებ შორსაც ალარ არის ის დღე, როცა ჩვენი ჯგუფი გადაიქცევა ლაშქარათ.

P. S. ეს წერილი უკვე სტამბაში იყო გადაცემული, როცა მივიღეთ „ეკალის“ № 32, სადაც კიდევ ჩვენს წინააღმდეგ მოთავსებულია ფელეტონი. დრო და ადგილი ნებას ალარ გვაძლევს აქვე ამასაც გავცეთ პასუხი და ამიტომ ვდებთ შემდეგ №-თვის. იქ მზიან დღეს ვით ნათელ-ვყოფთ, რომ „ეკალის“ მეფელეტონე—სამარცხვინოთა სცდება, თუ კი მისი წერილი მხოლოთ შეცდომაა და არა განზრახ ჩადენილი სიმრუდე.

---

## ქუთაისი აკაკის საიუბილეოდ ღღესასწაულის მზადებაში.

5 ოქტომბერს, კვირას, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა გუბერნატორის მიერ ნებადართული კრება აკაკის იუბილეი საორგანიზაციოთ, თ-დ კოსტ. ერისთავის თავმჯდომარეობით. კრებას 50.-დე კაცი დაესწრო, თუმცა ბევრი სპატიო პირები ინტელიგენციიდან არ იყვნენ. შეკრებილთაგან ერთნი (ს. რობაქიძე, ბ. ჭუმბაძე, პ. ყიფიანი, კიტა აბაშიძე და სხ.) ამტკიცებდენ, რომ იუბილეი **ერთი საერთო უნდა გადვიხადოთ თფილისში**, როგორც დედა ქალაქში. იქ უნდა გაიგზავნოს მთელი ჩვენი ქვეყნიდან, ყველა კუთხეებიდან დეპუტაციები და ასე შეერთებულ ძალაში გამოიხატოს ეს კულტურულ-ეროვნული დღესასწაული ჩვენი დიდებულ მგოსნისაო. ამიტომ, ჩვენ და სხვა პროვინციალურ-

მა საორგანიზაციო კომისიებმა ხელი უნდა შეუწყოთ თფილელების ამ იუბილეისთვის საორგანიზაციო კომიტეტს, რომელმაც პროგრამა იუბილეის უკვე გამოიმუშავა და იწოდებს კიდეც მთელ საქართველოს ერს გაზეთებით ამ დღესასწაულისათვის მზადებას შეუდგეს. აი, ამ იდეის განხორციელებას უნდა შეუწყონ ხელი ყველა კუთხეების ადგილობრივმა კომისიებმა და ასეთის ერთობით საუმჯობესოთ დავაგვირგვინოთ ეს მთელი ერის დღესასწაულიო.

სხვებმა (მ. ქიქოძემ) გამოსთქვა ის აზრი, რომ ქუთაისმა და საზოგადოთ, მთელმა იმერეთმა ცალკე, მეორე ან მესამე დღეს იდღესასწაულოს ეს იუბილეი ისევე დიდებულათ, როგორც თფილისში, რაც მოხდება თვით იუბილარის თანადასწრებით, რადგან მისი პირადი დასწრება ბევრ კარგ სიტყვებზე უკეთეს გავლენას იქონიებს დამსწრეებზე. ამიტომ, ჩვენი საორგანიზაციო კომისია უნდა შეუდგეს ცალკე ამ დღესასწაულის მოწყობის საქმეს და მოიწოდოს მთელი გუბერნია შემოუერთდეს აქაურ საიუბილეო კომისიას და მასთან ერთათ იმოქმედოსო.

ამნაირათ, ეს ორნაირი აზრი დამსწრეთათვის ერთნაირათ მოსაწონი დარჩა. ყველას ეტყობოდა, დიდებულ მგოსნისათვის ამ სიბერის დროს მაინც ეცა მომეტებული პატივი და რაც მას სიცოცხლეში სიმწარე, ზნეობრივი ტანჯვა და ნივთიერი ნაკლებობა გამოაცდევინეს, დღეს ყოველივე ეს მთელი ერის სახელით შეინანოს საზოგადოებამ და დაანახოს ქვეყანას, რომ მასაც აქვს უნარი თვისი ეროვნული სიამაყის დაფასებისა.

აი, ამ ორნაირი აზრის შესაფერისათ განსახორციელებლათ კრებამ ამოირჩა საორგანიზაციო კომისია, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს პროგრამა ამ ორნაირათ დღესასწაულისა. ეს კომისია შესდგება ყველა ადგილობრივ დაწესებულებების წარმომადგენელთაგან გარდა ათამდე ინტელიგენტისა.

უეჭველია, დღემდე ჩვენი საზოგადოების ასე გულგრილობით გულდაწყვეტილი **მეცხრამეტე საუკუნის რუსთაველი—კაკი** დღევანდელი დღესასწაულით ამ მოხუცებულობაში მაინც მიიღებს იმ ზნეობრივ-ნივთიერ კმაყოფილებას, რომლითაც უცხო ქვეყნებში ასე უხვათ აჯილდოებენ თვისს ქვეყნის დიდებულ შვილებს. მაშ, თუ მეორე დიდებულ მგოსნის ილიას ველურათ მოკვლამ გამოაფხიზლა საქართველოს შვილნი, ხოლო მან (ილიამ) კი ეს ვერ იხილა სიცოცხლეში, სამაგიეროთ, მოხუც მგოსანს აკაკის, ბედათ ხვდა სიცოცხლეშივე მოუსმინოს თავის მშობელ ერს თვისი მისდამი თანაგრძნობა-პატივისცემის გამოცხადება. მაშ, ველოდეთ გიორგობისთვეში ამ, სანატრელ **აკაკის დღეს**.

**ისო.**

# სხვა-და-სხვა ამბები
## ჩვენში

სამ ნოემბრის კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს სესია ქ. სოხუმში გარჩევს, ან. მგელაძისა, რაჟ. კიღურაძის, ალ. პალიფაროვის და მიტრ. ჩეპელის საქმეს. დასახელებულ პირთ ბრალათ ედებათ რ. ს. დ. მ. პ. სოხუმის ორგანიზაციის წევრობა. ბრალს სდებენ 102 სტატიის ძალით.

✦ ამ უკანასკნელ ხანებში ხოლერამ ძლიერ იმატა; 4 ოქტომბრიდან 8-დე ხოლერით ავათგახდა 20 კაცი.

✦ თბილისის უმთავრესი ფიზიკური ობსერვატორიის ცნობით 7 ოქტომბერს მთელ რუსეთში სამხრეთის ნაწილის გარდა, ტემპერატურა „0"-ზე ნაკლები იყო. ურალსა და რუსეთის ცენტრში თოვლი მოვიდა.

✦ ამ დღეებში ს. ოჩხუბში სოფლელებს დაუჭერიათ ექ. ტრიანდაფილიდისის ერთი მომტაცებელ და მკვლელთაგანი, ილიკო ჯინჭარაძე. დაჭერისთანავე ჯინჭარაძე გადაუცია მთავრობისათვის. ჯინჭარაძე გაძლიერებული მცველებით წაუყვანიათ ქ. ოზურგეთში და დაუპატიმრებიათ საპატიმროში. ჯინჭარაძე ერთ დროს იყო ბათუმის საავთომყოფოს სამეურნო ნაწილის გამგის თანაშემწეთ. ოდესაში ყოფილა სამართალში მიცემული ექსპროპრიაციისათვის და დიდი ხანი. არაა რაც გაანთავისუფლეს.

✦ „ამირანს" პეტერბურგიდან ატყობინებენ: „პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ კავკასიის ნამესტნიკი გრ. ვორონცოვ-დაშკოვი თავს ავათა გრძნობს და სამსახურს სტოვებს; ხოლო ნამესტნიკათ გრ. ვიტეს ნიშნავენ".

✦ 8 ოქტომბერს მცხეთის ფოსტის განყოფილებაში ვიღაცას გაეხსნა ფულის ჩანთა და ამოეღო 3,500 მანეთი. ამის თაობაზე დაუპატიმრებიათ განყოფილების მოსამსახურე, რომელიც გამომტყდარა ქურდობაში. ფული უნახავთ მიწაში ჩაფლული.

✦ სამხედრო—სასამართლომ ჩამოხჩობა გადაუწყვიტა: გერასიმე ქორიძეს, ალექსანდრე ბაღდასაროვს და კონსტატინე ოქროპირიძეს. ამათ ბრალდებოდათ მეპურე კაპერიძეზე თავდასხმა და სამი მანეთის წართმევა. მეოთხე ამათ ამხანაგს გადაუწყვიტეს სამი წლით ციხე.

✦ 6 ოქტომბერს პოლიციამ გაჩხრიკა სასტუმროებისა და ბუფეტების მოსამსახურეთა ბინები და დაუპატიმა: ანთიმოზ გიორგობიანი, ირაკლი ბაკურაძე, ილიკო ქვენაშვილი, მიშა გამყრელიძე, იასონ კაპანაძე, რაჟდენ დოლიძე, „ფანტაზიის" ყოფილი მოსამსახურე კოტა და ოთხიც „აერორის" ნომრების მოსამსახურე.

✦ მივაქცევთ ქალაქის ჯანმრთელობის კომისიის ყურადღებას შემდეგს: სოლოლაკიდან გაყვანილია კოლონიზაციის არხი სწორეთ იმ ადგილას, სადაც ბორანია გამართული და ხალხის განუწყვეტელი მიმოსვლაა გაჩაღებული. ეხლა მუხრანის ხიდის კეთებასაც შეუდგენ და გაცხარებული მუშობაა ზედ, მაგრამ მაგარი ისაა, რომ გამვლელ-გამომვლელთ და მუშებს მთელ დღეს სოლოლაკელთა სიბინძურის მიერ მოწამლული ჰაერით უხდებათ სუნთქვა. საკვირველია, რომ ამ გარემოებისათვის „ჯანმრელობის" კომისიას არ მიუქცევია ყურადღება. საჭიროა ხსენებული არხი პირდაპირ იმ ადგილს არ ერთობოდეს მტკვარს, არამედ ცოტას დაუხვევდეს ქვევით და იქ ჩაერთოს, სადაც ხალხის მიმოსვლა არ არის.

✦ 6 ოქტომბერს გამოვიდა სალიტერატურო გაზეთი „მზე“. გაზეთში მოთავსებულია სხვათა შორის ილია ჭავჭავაძის დაუბეჭდავი მოთხრობა „კაკო“ და აკაკის თავგადასავალი.

## რუსეთში.

✦ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს: კიევში—ოთხს, ასტრახანში—ერთს.

✦ მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატ ნეჩიტაილოს გადაუწყვიტეს გამასწორებელ სახლში ორი წლით დაპატიმრება, მეორე დუმის დეპუტატ ხვოსტოვს—გადასახლება.

✦ პეტერბურგში ხოლერა კვლავ მძვინვარებს. 27 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე ხოლერით მოკვდა 195 კაკი, დღიდან მისი გაჩენისა- 2967 სულ.ი

✦ 30 სექტემბერს მინისტრთა საბჭოს კრებაზე მოწონებულ იქნა სახელმწიფო დუმაში წასარდგენათ შემდეგი კანონ-პროექტები.

1) ადმინისტრატიული ცვლილება პრიმორსკის ოლქისა და სახალინზე.

2) ნებართვა სახალინზე სამრეწველო ნავსადგურის გასამართ ადგილის მოსაძებნათა და პროექტის შესამუშავებლათ.

3) ყოველ წელს 500,000 მანეთის გადადება ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ჯამაგირების გასადიდებლათ.

4) სასულიერო სასწავლებლების მოსამსახურეთა ჯამაგირების გასადიდებლათ კრედიტის გახსნა.

5) ყოველ წელს სამრევლო სკოლების მასწავლებლების ჯამაგირებათ 1,000,000 მანეთის დანიშვნა.

✦ 3 იანვარს 1908 წ. საერთო სახელმწიფო ვალის ჯამი შეადგენდა 8,725 მილიონ მან. ამ წლის განმავლობაში გადიდდა 200 მილიონი მანეთით და დაპატარავდა 73 მილიონი მანეთით.

✦ უმაღლესი ბძანებით მოხსნილ იქნა სამხედრო წესები პოლონეთში, ზოგიერთ მაზრებსა და გუბერნიებს გარდა. ზოგიერთ ადგილებში შემოღებულ იქნა ერთი წლით გაძლიერებული დაცვა.

✦ ორი ოქტომბრის სხდომაზე ფინლიანდიის სეიმმა მოიწონა კულტურული კომისიის წინადადება 30 ათასი მარკის გადადების შესახებ მუშებისათვის ინსტიტუტის დასახმარებლათ. მოწონებულ იქმნა აგრეთვე კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ რეაქციონერ საზოგადოებებს აეკრძალოს შეიძინოს ბავის საკუთრებათ სოფლის კომუნათა მიწები.

✦ ქალთა უმაღლეს კურსებზე მეცადინეობა უნდა დაწყებულიყო 2 ოქტომბრიდან. ამ დღეს კურსებზე მოხდა საერთო ყრილობა, რომელსაც 2,000 ქალი დესწრო. დიდი კამათის შემდეგ უმრავლესობამ 1,702 მა 184 წინააღმდეგ (58 თავი შეიკავა) გადასწყვიტეს სწავლა არ დაიწყონ.

✦ გაფიცვა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში გრძელდება.

✦ 3 ოქტომბერს შესდგა კრება ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოსი, მეცადინეობის შეწყვეტის გამო შექნილ მდგომარეობის გამოსარკვევათ.

✦ ქალთა მედიკურ ინსტიტუტში მეცადინეობა არ დაწყებულა.

## ოსმალეთი.

სტამბოლიდან გვატყობინებენ, რომ ახალგაზდა ოსმალთა ერთ ნაწილის ლიდერი, პუბლიცისტი ამმედ რიზა პარიზში ბრუნდება. ხმა დადის, დაბრუნების საბუთი ის არის, რომ იგი, როგორც თითონ ჰგონებია, გარეშე საქმეთა მინისტრათ დაინიშნება და რადგანაც ეს იმედი გაცრუებია ამისთვის სტამბოლს თავს ანებებს.

— სტამბოლის გაზეთები ასახელებენ ვიღაც მურადბეის, რომელიც ადრე ახალგაზდა ოსმალთა პარტიის წევრი ყოფილა და ეხლა შეერთებულა ბნელ ძალებთან და კონსტიტუციის წინააღმდეგ მოქმედებს. ხმა დადის, რომ მას მატერიალურათ ეხმარებიან რამოდენიმე მდიდარი ფაშები და სასულიერო წოდების რამოდენიმე პირნი. იგი მუშაობს ბნელ ძალების შორის. ეს ბნელი ძალები, კონსტიტუციის შემდეგ საპყრობილეებიდან განთავისუფლებული ქურთები, ავაზაკები და სხვა და სხვა ეკვიანი ხალხია, რომელნიც ცდილობენ არეულობა მოახდინონ სტამბოლში, იგივე პირები ომს ჰქადაგებენ ბოლგარიის წინააღმდეგ და მდაბიო ხალხის ფანატიზმს ამხურვალებენ.

— თფილისის სომეხთა საეპარქიო უფროსს ვანიდან (სომხეთი) მიუღია ერთი დეპეშა, გამოგზავნილი ქიშანდრი ზავენის მიერ, სადაც შემდეგია ნათქვამი: „ოსმალეთის მთავრობა უბრუნებს არტეშის, ალჯავაზის, აღბავის და სხვა ადგილების სომხებს, ადრე შეთვისებულ მიწებს. დაჩქარედ ემიგრანტების დაბრუნება“.

— ტრაპიზონის სანჯაკში უკვე დაწყებულა საპარლამენტო არჩევნების აგიტაცია. ამ სანჯაკში სცხოვრობს 29,000 მაჰმადიანი, (ამ რიცხვში შედის ქართველი მაჰმადიანები) 52.000 ბერძენი და 11,000 სომეხი, ახალგაზდა ოსმალების კომიტეტს უნდა, რომ არჩეული იყვნენ 6 მაჰმადიანი, 4 ბერძენი და 2 სომეხი დეპუტატი.

## სვარსეთი.

თეირანიდან იტყობინებიან, რომ პრინცმა ფერმან ფერმანმა თავრიზს წასვლაზე უარი სთქვა. მის მაგიერი ჯერ კიდევ არ დაუნიშნავთ. ბაჰხტიართა და სარბაზების ორი რაზმი სასწრაფოთ გაგზავნეს ადერბეიჯანს ეინ-ედ-დოულეს უკუ ქცეული დამსჯელი რაზმის მისაშველებლათ, ეინ დოულემ დაჭარგა მოთმინება ლოდინში და წავიდა თავის მამულში ხორასანს.

— კონსტიტუციონალისტების აღფრთოვანებას საზღვარი არ აქვს, ხალხის გმირს, სათარ-ხანს, დიდი

და პატარა ქება დიდებით იხსენიებს, მგოსნები უძღვნიან აუარება ლექსებს, რომელსაც ყველა სწრაფათ სწავლობს ზეპირათ და შემდეგ ამაყათ მღერიან ქუჩებში. სათარხანი მედგრათ განაგძობს თავის საქმეს. აგებს ახალ-ახალ სიმაგრეებს და ემზადება მტერთან მედგრათ შესახვედრათ. რეაქცია უკანასკნელ ძალას იკრებს, რომ აღადგინოს სამუდამოთ შერყეული პრესტიჟი; ადვილი შესაძლებელია ადერბეიჯანმა და მისმა მახლობელმა პროვინციებმა სრულიად ჩამოშორდენ თეირანს და გამოაცხადონ თავის დამოუკიდებლობა. თუ დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებენ, მაინც მოითხოვენ ტახტიდან შაჰის ჩამოგდებას და მის მასულდგმულებლების განდევნას. მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია სასტიკ ზომებს იღებს, თეირანში აუარებელი პრაკლამაციები ვრცელდება შაჰისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ.

4-5 ოქტომბერს თავრიზს გაგზავნეს ოთხასი, კარგათ გაწრთვნილი „კაზაკი“ ზარბაზნებითა და სურსათით; აგრეთვე გაგზავნეს ზარბაზნები და ტყვის მტორცხნელები. თავრიზს მომავალ „კაზაკთა“ რაზმში საშინელი უიმედობაა გამეფებული. ბევრი კაზაკი გაგზავნის დროს გაიქცა და მიიმალა, ბევრი გზიდანაც გარბის, გაქცეულთა რიცხვი ათობითაა.

მიუხედავათ იმისა, რომ შაჰი უხვათ აჯილდოებს თავის მომხრეებს, რეაქციონერთა ბანაკს სულ თანდა-თან აკლდება.

## მეგობრებს.

ის პირველი ტალღა იყო
და პირველი ნიავ-ღვარი,
რომ კარეტხა არემარე
გალღალხა მთა და ბარი!

ის პირველი ტალღა იყო
მძლეოა-მძლეური, გულ-შეგარა,
საარაკო ბრაზმორეული
სტიქიონთან შეობარი;

დღეს ის ტალღა ადარა სტემს;
ადარ დელავს ზღვის ნაპარი.
სტიქიონთან შთანქა ბრძოლამ
ის პირველი ტალღა—გმირი...

მაგრამ მაგე ზღვის გულიდან
სხვა, ახალი აგორდება;
და ვაი მას, ვინც იმ ტალღას
გაბედავს და დაუხვდება!

ის გალეფლის ნაპირებზე,
გაასწორეს მთა და ბარსა
და ფერს მისტემს სასიტოცხლოს,
ღელ ქვეყანა ტოტხალ-მკედარსა ..

შეეობრებო, იმ ტალღაზე
ჩვენი ნავიც ასტურდება!
მაგრამ კი გულს ნუ იტეხთ...
აგერ წყოიტ ახლოვდება!

**სირიაჩქონელი.**

## წარსულის მოგონებიდან.

— —

საერთო მდუმარების ხანა იყო. სამყაროს თვალ გადაუწვდენელ სივრცეზე საშიშარი სიბნელის წყვდიადი დასადგურებულიყო; მისი უკანასკნელი შავბნელი რგოლი მსოფლიოს თვალ მიუწდომელი, შორეული წარსულის სიღრმეში იყო გამოკიდული; თითეულ ამ რგოლებს შუა გრძლათ გადაჭიმული არე, რომელზეც ოდეს-ღაც ადამიანებს ემოგზაურათ სიცოცხლისათვის, ტკბილი და სანეტარო სიამოვნებისათვის, კანონიერებისა და სიმართლის დამყარებისათვის, მთელი ეს ხანგრძლივი მოგზაურობის ხანა აღბეჭდილიყო ჩაგრულთა მჩაგვრელის წინააღმდეგ დაუშრეტელი ბრძოლით, რომლის დევიზი სამი სიტყვა იყო: სიცოცხლე, სამართალი, კანონიერება! ამ სიტყვებში იხატებოდა მთელი სიმვოლო სიცოცხლის, არსებობის, ადამიანობის; ამაში იყო ჩაქსოვილ-ჩაქედილი ადამიანების ჭირ-ვარამი, ტანჯვა-ნეტარება, სიცილ-ტირილი და ამ რგოლებს შუა ადამიანების ორომტრიალი, ყოველთვის სიცოცხლის საწინააღმდეგო დემონსტრაციას წარმოადგენდა... მაგრამ სურათი იცვლებოდა...

შავი სიბნელის განუზომელ სივრცეში, ვით უმთვარო ღამის ბურუსში აღმართული სალი კლდის ქანდაკება,— გამოსჩანდა ორი მებრძოლი არსება, რომელთაც გარს ერტყათ მთელი თავისი რაზმების ძალები, რომ შემთხვევის დროს ერთი ერთმანეთზე უკანასკნელი იერიში მიეტანათ... საუცხოვო სულიერი განწყობილება იყო... საერთო მდუმარება იცვლებოდა საერთო გამოფხიზლებაზე...

— ქვეყანა სავანე უნდა იყოს სიცოცხლე-ნეტარებისა ყველასათვის, იმით უნდა სტკბებოდეს ის, ვისიც ოფლმა შეამკო მისი სიმდიდრე და სიმშვენე, ვისიც ხელებმა შექმნეს მთელი თანამედროვე ხუროთ-მოძღვრება, მის წიაღში დაგროვილი კულტურა, მრავალგვარი თვალის წარმტაცი სიკეთ-სიმშვენით,—სული შთაბერა მთელ ქვეყნიურ სხეულს.—მქუხარე გამოძახილით გაისმა პირველთა ბანაკში.

რაზმთა განუსაზღვრელი მღელვარება, ვით აღქაფებულ აზვირთებული ზღვის ღრიალი,— ამ სიტყვების დამადასტურებელი იყო, რომელიც გამომხატველი იყო სიცოცხლისადმი თავგანწირულების, მის საკურთხეველზე ალურიცხველი მსხვერპლთა მიტანის.

— ჩვენ გვშია... პური გვინდა... მზათა ვართ ბრძოლისათვის. სიცოცხლეზე და არსებობაზე ლაპარაკი მეტია იქ, სადაც ერთი მეორეზე გაბატონება დასადგურებულა. ჩვენ ვიბრძოლებთ!!

ბნელეთის წყვდიადში იქ-აქ სინათლის სხივები შემოიჭრენ. ქვეყნის სივრცეზე დაფენილი ტლანქი, სიცოცხლისა და არსებობის ჩამთუთქავი სიბნელე, ადგილს უთმობს სიცოცხლის გამცისკრფეროვანებელ, წმიდა მოკამკამე სინათლის სხივებს. ქვეყანა ტანჯვისა და გვემისაგან შვების პირზე მიდგა... დიდებულია ეს დრო, განუზომელია მისი სიმშვენე!.

ჩვენ გვშია... მზათა ვართ ბრძოლისათვის...

მეორე ბანაკი სდუმდა. იგი გაფითრებული, უსიცოცხლო, უსულო ცხედარივით მისჩერებოდა პირველთა მხარეზე აგორებულ ტალღებს, რომელთა ბრაზ-მორეული სრბოლა-ტრიალი ვულკანისებური სიმძაფრით არყევდა მის შავბნელ სიმაგრის ძირ-ბუდეს და, ვით სასტიკი გასამართლების მოლოდინში მყოფი—უდანაშაულო ძმის მკვლელი სიცოცხლის სასტიკი განსჯა გაკითხვის მომენტს განიცდიდეს,—თავის არსებობის დრო-ჟამს ერთხელ და სამუდამოთ ეთხოვებოდა და სიცოცხლის ჰორიზონტიდან ფერფლივით გაქრობას მოელოდა.. ხარობდა ქვეყანა მაშვრალთა და ჩაგრულთა; სიცოცხლე სდუღდა, მისი ცხოველმყოფელი შარავანდედი სალამს უძღვნიდა გააფთრებულ მებრძოლთ...

მაგრამ, შეტრიალდა ყოველივე...

ქვეყანას კვლავინდებური სიბნელე გადაეფარა... სინათლეზე სიბნელე გამეფდა .. სიცოცხლე იდევნება.. მებრძოლთა ყიჟინა შესუსტდა.. მხოლოთ ციხე-კატორღებში, ცივ ქვეყნებში-ღა დრტვინავენ მებრძოლნი.. შეჩერდა პირველთა ბანაკი, საერთო გამოფხიზლება, აღფრთოვანება, შეიცვალა საერთო მდუმარებაზე...

მაგრამ ოჰ, სიცოცხლის ძლიერება კიდევ უფრო აღმაფრთოვანებელ, უფრო მკაცრი ბრძოლისადმი მომწოდებელი მწარე გაკვეთილებს სტოვებდა და, ამ ბრძოლაში მოქანცული ხალხის მოდუნებულ სულის თქმას, კიდევ უფრო ძლიერი, უფრო მკაცრი ამოსუნთქვის იმედებს უკარნახებდა.

— დღეს დაქსაქსული, უმწეოთ დევნილი, ყვავყორანის საფლეთათ გახდომილი, კვლავინდებური სიძლიერით აღვდგები... ჩემს წიაღში შეუჩერებლივ იდენს ცრემლები მაშვრალთა, რომელთა შეკუმშული ტალღები შურის ძიებით მოევლინებიან ქვეყანას.. მისი ნიაღვარი წალეკავს მთელ ბოროტებას... კვლავინდებური სიძლიერით აღდგებიან ხეზე მაშვრალნი და ტვირთმძიმენი!...

**ან-ქანი.**

## კითხვები უპასუხოთ

— : —

მიჰქრის, მიფრინავს ეს ცხოვრება ჟამით ნაზარდი და უკან სტოვებს წლებსა, დღეებსა, საათებსა და წუთსაწამებს...

შესდეგ ცხოვრებავ და მითხარი, საიდან რა ხარ?

ბევრსა ვეძიებ შენსა გულში, შენსა უფსკრულში, მაგრამ ვერ ვპოვებ იქ პასუხსა, ვერა და ვერა!

თუ ხარ ყვავილი ნარგიზოვანი, ტურფად ნაზარდი, სურნელოვანი, შვების მონიჭე, ცხოველ-მყოფელი, კაცისა სულის დამატკბობელი, მაშინ მითხარი: მეც რატომ არ ვგრძნობ მაგ შენსა ყნოსვას, შენს სურნელებას, რომ მომაკვდავი სამარემდისინ მარად გიმღერდე ქებათა-ქებას?..

თუ ხარ ბულბული ტკბილად მსტვენელი, ციურ

ჰანგების მაგალობელი, მაშინ მითხარი: მეც რათ არ მატკბობ მაგ შენის სტვენით, შენის გალობით, რომ გააქარვო ეს ქმუნვა გულის და სიკვდილამდე შენ გიღიმოდე?..

თუ ხარ ქარ-ბუქი, კორიანტელი, დაუდეგარი, შეუპოვარი, კიდითი კიდეთ მარად მქროლავი, ზარის დამცემი, შემძრწუნებელი, მაშინ მითხარი: რაღა ფასი აქვს შენს ძლიერებას, შენ სისატიკეს, თუ მე, საწყალი, უძლურთ-უძლური შეურყეველი ვიდგები შენ წინ, და შენი სრბოლა, შენი ტრიალი მეც არ ჩამითრევს, არ მომიტაცებს?..

თუ ხარ რამე ზღვა, ან ოკეანე, დღე-ღამ მშფოთავი, მარად მღელვარე, შენივ ბობოქრით, ტალღათა ქმენით გამწარებული, გაშმაგებული, ყველა არსების შემძრწუნებელი და შთასანთქავთ გამზადებული, მაშინ მითხარი; რაა ეგ ღელვა? რას ვაქნევ შენსა მუქარას, ბობოქრს, თუ მე, ობოლი შენს ძლიერებას, შენსა მუქარას არ ვეპუები და თავხედურათ, ნაფოტზე მჯდომი განვაგრძობ ცურვას შენსა ტალღებში?..

თუ ხარ... მაგრამ გეტყობა შენ ყურს არ მიგდებ, ისევ წინ მიჰქრი, მიეჩქარები და ჩემი კითხვა, ამონაკვნესი ჰაერში ჰქრება ვით ნაპერწკალი!..

მაშ, თუ ეგრეა—გასწი ცხოვრებავ!

მეც უკან მოგდევ!

არ ჩამოგრჩები!

არ ჩამოგრჩები სანამ მიდგია ძარღვებში სისხლი და პირში სული!

გასწი სასტიკო, და შეუპოვრათ გავლე, გაჰქელე მრავალი წლები!..

გასწი, ცხოვრებავ,

მეც უკან მოგდევ!

არ ჩამოგრჩები!..

არ ჩამოგრჩები!

**ლევ. მეტრეველი.**

## „მინდობილი კაცი“.

— : —

რუსეთთან შეერთებამდის საქართველოს იურიდიული და ეკონომიური წესწყობილება აქამდის არ არის საფუძვლიანათ შესწავლილი. აწმყო მდგომარეობის გასათვალისწინებლათ კი, ხშირათ გვჭირდება წარსული ნაშთების გაცნობა და ძველის საფუძველზე აღმოცენილ ჩვეულებათა ახსნა. ძვირფასს მასალას იძლევა ამ მხრივ მეფე-ბატონთა სიგელ-გურჯები და ვახტანგ მეექვსის სჯულდება. საქართველოს ისტორია დამყარდება მტკიცე საძირკველზე, როცა დასახელებული წყარო სათანადო გამომკვლეველს შეიძენს. სხვა და სხვა დროს ჩვენ გვქონია შემთხვევა გვესაუბრებლა სიგელ-გურჯებით და მეფე ვახტანგის კანონებით. რადგან ეს უკანასკნელი ერთთა-ერთი ნაშთი ქართველთა იურიდიული აზროვნობისა აქამდის სრულიად არ არის გამოცემული, იძულებულნი ვიყავით მიგვემართა დ. ბაქრაძის მიერ რუსულათ ნათარგმნს და შეგვედარებინა ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში დაბეჭდილ ტექსტთან. ადგილ-ადგილ შევნიშნეთ რუსულს თარგმნაში შეცდომით ახსნილი ტერმინები და განვიზრახეთ მათი შესწორება. ამ წერილში შევეხებით ერთს ამგვარ ტერმინს.

ათაბაგი აღბუთას კანონებში, რომელსაც ვახტანგ მეფემ დაუთმო შესაფერი ადგილი თავის რჯულდებაში, აღნიშნულია მუხლი შესახებ **მინდობილი კაცისა**. ეს მუხლი მოყვანილია ქართულათ § 33-ში და რუსულათ § 34-ში. ამოვწერთ ორივეს. ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში ვკითხულობთ: „თუ მინდობილმან კაცმან დედაწულმან გვერდითა ციხესა ანუ კაცისა ვაკისა საჯდომსა უდალატოს, პატრონმან მაწყვერელმან სცნას, ციხე და საჯდომი განაღამცა მემამულესაგე მისცენ და სამართლითა რაზომიცა კაცი მას დღესა ციხისა პატრონი შიგან დაუხვდეს ყველასაგან ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს“... ეს მუხლი ბუნდათ არის გამოთქმული და აზრის გამოურკვევლობას ხელს უწყობს, ვგონებთ, შეცდომით აღბეჭდილი და კორექტ-რული უსწორობით დამახინჯებული ტექსტი. აი, რა თარგმანი უდრის მე-34 პარაგრაფში. რუსულათ გამოცემულს კრებულში: „Кто, бывъ дружелюбно принятъ, измѣнитъ кому, въ кругѣ семейства, въ крѣпости или въ другомъ мѣстѣ, и сіе дойдетъ до свѣдѣнія ацхурскаго архіерея, тотъ повиненъ сдѣлать удовлетвореніе за кровь двухъ знатнѣйшихъ особъ изъ числа всѣхъ тѣхъ людей, сколько въ тотъ день на мѣстѣ измѣны находилось“... ამ ჟამათ არ შევჩერდებით სრულს შედარებაზე რუსულს და ქართულს სიტყვებს შორის და დაწვრილებით მათ განმარტებაზე. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ ერთს ტერმინს: **მინდობილი კაცი**, რომელიც რუსულათ აჩქარებით გადაღებულია „Дружелюбно принятый“-ად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „მინდობილი კაცი“ უდრის იმ გვარს პირს, რომელსაც რუსეთის ისტორიაში უწოდებენ „Закладчикъ“-ს და დასავლეთ ევროპაში „კომენდატერ“-ს.

ფეოდალურმა წესწყობილებამ ყოველგან დაბადა პატრონატი ანუ თავშეფარების საჭიროება. ღონე-მოკლე კაცი თავს აფარებდა ძლიერს პატრონს და ამას ეძახდენ „ზაკლადნიჩესტვოს“ და კომენდაციას. ჩვენ შემთხვევა გვქონდა „ბატონ-ყმობის“ ისტორიაში აღგვენიშნა ამგვარი ჩვეულება საქართველოში. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ შევასწოროთ აკ. ბროსსეს, დ. ბაქრაძის და სხვათა შეცდომა ტერმინის „მინდობილი კაცი“-ს შეგნება-გადათარგმნაში. სიგელ-გურჯებში ხშირათ შეგვხვდება ტერმინი- მინდობილი, მონდობილი, მიდობილი. დ. ბაქრაძე თავის **არქეოლოგიურს მოგზაურობაში** ამ სიტყვას სთარგმნის уповающій-ათ, თქმა არ უნდა, რომ ამგვარს წინადადებაში, როგორც, მაგ.: „ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან“ ჰნიშნავს „შენს მფარველობაზე დაყრდნობილს“ (положившійся на твою защиту) და არა „შენი მფარველობის მოიმედეს“ (упо-

вающій), რადგან ეს უკანასკნელი აზრი ქართულს ნაშთებში გამოთქმულია სიტყვით „მოსავი“, მაგალითათ ლიხაურის მაცხოვრის ხატზე. უადგილობის გამო ვერ ამოვსწერთ მაგალითებს დასასაბუთებლათ იმ აზრისა, რომ „მინდობილი“ აღნიშნავს მფარველობის ქვეშ შესულს კაცს. მეფენი და მებატონენი თავიანთ თავს უწოდებენ ღვთისმშობლის, წმ. გიორგის და სხვათა წმიდათა, რომლის სახელზედაც აკეთებინებდენ ხატებს და სამკაულს,—ამათ „ცვა-ფარვათა მინდობილებათ“, ხოლო უბრალო კაცი, ძალა დასუსტებული ცხოვრების მორევში, შეფფარებდა თავს მეფე-პატრონს და ხდებოდა ამათ „მინდობილ“, თავშეფარებულ კაცად. ასე მტკიცდებოდა ფეოდალურ-ვასსალური წესწყობილება: მეფე ეფარებოდა ციურს ძალას და მეფეს ანუ პატრონ-ბატონს ქვეყნათ, ხელმოკლე კაცი.

ა. ხახანაშვილი.

## მუშა—ფილოსოფოსი.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება მიიქცია დიალექტიურ მატერიალიზმის მომხრეთა შორის ერთმა ფილოსოფოსმა, რომელიც—თითონ—ამ მიმართულებას თავის მიმართულებათ აცხადებდა და მის შემქმნელს თავის მასწავლებლათ;—ამ ფილოსოფოსის სახელი იოსებ დიცგენია. მას ბევრი მომხრეები აღმოუჩნდა, განსაკუთრებით ჰოლანდიაში: ევგენი დიცგენი (მისი შვილი), პანეკეკი, რომელნიც ყოველ ღონეს ღონობენ, მას პოპულიარობა მოუპოვონ, მისი ფილოსოფია მარქსიზმს საძირკვლათ დაუდგან, შემეცნების თეორიაში ეს უკანასკნელი „შეავსონ“,—იმ სფერაში, სადაც, სოციოლოგიურ და ეკონომიურ მოვლენათა გამოკვლევით გატაცებულნი მარქსი და ენგელსი, სახლში თავს ვერ გრძნობდენ. რამდენათ მართალია ეს აზრი ხსენებულ მარქსისტებისა, აქ ამის გარჩევას არ შევუდგებით. ჩვენი მიზანია ხსენებული მუშა—ფილოსოფოსი ქართველ ამ_ ხანაგებს გავაცნოთ; მისი შესწავლა ყოველ საფუძვლიანათ განვითარებულ მარქსისტისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენ, რაც შეიძლება, ვეცდებით დაახლოებით გადავცეთ მკითხველს დიცგენის სწავლა, რომელიც, რასაკვირველია, მოკლებულია იმ სისტემას, იმ დათავებულობას, რაიც, სხვა ფილოსოფოსებს ახასიათებენ: უდროობამ, ხვალინდელ დღეზე ზრუნვამ, აღბეჭდს თავისი კვალი დიცგენის შემეცნების თეორიაზე, მის გარეგნულ ფორმაზე: მაგრამ, ეს საქმეს არა სცვლის: დიცგენის სწავლა მაინც არ კარგავს თავის ღრმა მნიშვნელობას. მაშ, საქმეს შევუდგეთ. დავიწყოთ ბიოგრაფიიდან.

იოსებ დიცგენი დაიბადა ერთ პატარა ქალაქში, კელნის ახლო, მეწაღის ოჯახში; პატარა იოსები თავიდანვე, უსაღსრობისა გამო, სახალხო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის დამთავრების შემდეგ რამოდენიმე ხნით საქალაქო სასწავლებელშიაც და ერთ პატარა ლათინურ სკოლაში დააყოფინეს;—ამით გათავდა მისი სწავლა და დაიწყო „პურისათვის“ ზრუნვის ხანა. მაგრამ. ცოდნის წყურვილით გატაცებული ახალგაზდა, მუშაობის დროსაც არ სტოვებდა წიგნს და გულდადებით კითხულობდა ფილოსოფოსებსა და სხვა და სხვა მეცნიერებს; აქ—მამა მისის სახელოსნოში—მან, სხვათა შორის, შესანიშნავათ შეისწავლა ფრანგული ენა და, „„კომუნისტურ მანიფესტის“ წაკითხვის შემდეგ, გახდა მხურვალე მიმდევარი სოციალისტურ სწავლისა, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. „თებერვლის რევოლიუციის“ შედეგმა აიძულა ჩვენი ყმაწვილი გერმანია მიეტოვებია და შეერთებულ შტატებში გადახვეწილიყო, სადაც ორი წლის განმავლობაში თავს ხან ფიზიკურ მუშაობით ირჩენდა, როგორც მდებავი და მეწაღე, ხან კიდევ მასწავლებლობით. ამ ხნის განმავლობაში დიცგენი მეცნიერებას არ ივიწყებდა,—მათ გაცნობაზე ღამეებს ათენებდა, დღე რომ დრო არ ქონდა. 1851 წელს ის დაბრუნდა სამშობლოში, ითხოვა ცოლი და დაიწყო ვაჭრობა კოლონიალურ საქონლით, რომელმაც კარგად დაუბრუნა მატერიალურ კითხვის საქმე. როდესაც მატერიალურათ ცოტა გასწორდა წელში, დიცგენმა მიატოვა გერმანია და ამერიკისაკენ გასწია, სადაც იგი ფიქრობდა საქმეს უკეთ მოაწყობდა, რათა უფრო მეტი საშუალება მისცემოდა მეცნიერებისათვის შეეწირა თავისი დრო და მოელი ნიჭი, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ნეგრების განთავისუფლებისათვის ომის დაწყებამ, რომელიც მეწაღე მეცნიერს კარგს არაფერს უქადიდა, იძულებული გახადა ის სამშობლოში დაბრუნებულიყო და ისევ ოავის საქმისათვის მოეკიდა ხელი. მალე, 1861 წ., დიცგენი შემთხვევით პეტერბურგში მიდის—იქ, ერთ ტყავების დიდ ზავოდში ზედამხედველის ადგილის დასაკავებლათ. პეტერბურგში მისი ყოფნა შესანიშნავია: აქ მან დასწერა თავისი პირველი, შესანიშნავი წიგნი: „შინაარსი ადამიანის თავის მუშაობისა. ახალი კრიტიკა წმიდა და პრაქტიკულ გონებისა“; პეტერბურგშივე დასწერა და გამოაქვეყნა მან ერთ გერმანელ მუშათა გაზეთისათვის საყურადღებო წერილი, „აშინ ახლად გამოსულ „კაპიტალზე“. ეს წერილი, თითონ მარქსმა ნიჭიერათ იცნო და საბაბიც გახდა ამ ორ დიდებულ სწავლულთა ერთმანეთთან გაცნობისა. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1869 წ.) დიცგენის საქმე ცუდათ წავიდა. ვაჭრობა დაეცა, თვითონ ფილოსოფოსი ერთ შესანიშნავი რეფერატის—„სოციალდემოკრატიის მომავლი“-ს წაკითხვისათვის დაატუსაღეს და „ციხეში ჩასვეს; ამას მერე მას აღარ გაუბარია; შიმშილი კარზე აღარ მოსცილებია. 1884 წელს იმისი ოჯახობა გადასახლდა ნიუიორკში, სადაც დიცგენმა მუშათა გაზეთის „სოციალისტ“-ის რედაქტორობა მიიღო 1886 წ. ჩიკაგოში. აქ 1888 წ. ფილოსოფოსი გარდაიცვალა სრულებით მოულოდნელათ სოციალურ კითხვებზე ერთ ცხარე ლაპარაკის დროს.

ეს ღარიბი ბიოგრაფიული ცნობებიც საკმარისია იმ

გაჭირვების დასანახავათ, რომელიც დიცგენმა გამოიარა თავის თეორიის შექმნის დროს; ცხოვრების პირობების სისასტიკის მიუხედავათ, ფილოსოფოსი გამარჯვებული წარუდგა წინ თავის მშობელ კლასს. სიკვდილამდის მან კიდევ ორი შესანიშნავი შრომა გამოაქვეყნა: „სოციალ-დემოკრატიის გასეირნება შემეცნების თეორიის სამთავროში“ და „ფილოსოფიის დასკვნანი“.

თანამედროვენი ძალიან პატივსა სცემდენ დიცგენს, როგორც ფილოსოფოსს, განსაკუთრებით პარტიული ამხანაგები. მარქსმა ჰააგის კონფერენციაზე, რომელზედაც ფილოსოფოსი დელეგატათ იყო (1872 წ.), ასე წარუდგინა ის ამხანაგებს: „აი ჩვენი ფილოსოფოსი“.. და „ამ ჩვენ ფილოსოფოსის“ ფილოსოფიაზე დროა გადავიდეთ ეხლა.

**მან-წილი.**

(შემდეგი იქნება)

# პროვინცია.

**სოფ. ბაში.** (საყულიის საზოგ. ქუთაისის მაზრა). სოფელ. ბაში, რომლის მცხოვრებნი სამას კომლამდი ავა, არსებობს მხოლოდ ერთი პირველი დაწყებითი სამინისტრო სკოლა. ეს სკოლა სრულიად ამ სოფლის ხარჯზე ინახება და ხაზინიდან არაფერი დახმარება არ აქვს დანიშნული. წელს სწავლის წყურვილი დიდია ხალხში და მიუხედავათ იმისა, რომ სოფელი წელშია გახრილი ჯარიმებით, „ნედოიმკების“ აკრებით, შიმშილობით, ათასგვარ ავათმყოფობით და სხვა, მაგრამ მაინც ენერგიულათ ეკიდებიან სწავლა-განათლებას. ზემო აღნიშნული სკოლა საზოგადო მოთხოვნილებას სანახევროთ ვერ აკმაყოფილებს. დღეს ასამდი ბავშვი სკოლის გარეთ არის დარჩენილი. ამ გარემოებამ გამოიწვია ხალხში სურვილი გადააკეთონ ორკლასიან სასწავლებლათ, რასაც უმრავლესობა მცხოვრებლებისა ემხრობა, თუმცა გვირევია რამოდენიმე, ბნელი ძალები, რომელნიც გაუმჯობესების ნაცვლათ ცდილობენ, რომ ესეც მიჰკეტონ.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ერთი წლის წინეთ თუ ვინმე ამოსთქვამდა სასწავლებლის გაუმჯობესებაზე, შემდეგ პასუხს მიიღებდა: „რათ მინდა სწავლა, ნასწავლებმა ქვეყანა დააქციაო“, მაგრამ მიუხედავათ ამისა, დროთა ვითარებამ, აახილია მათ თვალები და დაინახეს რა, უსწავლელი ადამიანი ყველასთან დაჩაგრულია, ცდილობენ თავიანთი შვილები არ ჩააგდონ ამ სიბნელეში.

საყულიის საზოგადოებას შეადგენს სამი სოფელი, ყველა სოფლებში ორკლასიანი სასწავლებელია, გარდა ბაშისა, მაგრამ ახლო მომავალში აქაც დაარსდება ორკლასიანი სკოლა, თუ კი მოინდომებს და ხელს შეუწყობს ხალხს მისი შეგნებული ნაწილი.

—**ისტი.**

# სომეხთა შორის.

მკითხველებმა იციან, რომ ოსმალეთში კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ, იერუსალიმიდან სტამბოლში დაბრუნდა ეპის. იზმირლიანი (საკათოლიკოსო პირველი კანდიდატი), სადაც გაგზავნილი იყო ოსმალეთის მთავრობის მიერ 1896 წელში. როდესაც სტამბოლის ხალხმა გაიგო მისი დაბრუნების ამბავი, დიდ სამზადისს შეუდგა და დიდის ოვაციებით, მუსიკის კვრით და სიმღერებით მიეგება. რამდენიმე გემი იყო დაქირავებული ახალგაზდა ოსმალთა, ჰნჩაკისტების კომიტეტის, დაშნაკცაკანების, დე ენტრალიზაციის მხურვალე მომხრე საბაჰედინის და ოსმალელ ახალგაზდა ინტელიგენციის მიერ. გარდა ამისა ეპის. იზმირლიანს მიეგება დიდძალი ხალხი ზღვის ნაპირას. ამის შესახებ სტამბოლის ყველა გაზეთებმა განურჩევლათ დაბეჭდეს ვრცელი წერილები.

აი, რასა სწერს სტამბოლის ახალგაზდა ოსმალთა ორგანო -- „სერვეთი ფიუნიუნი“ ეპ. იზმირლიანის შესახებ, რომლის ავტორია იმავე გაზეთის რედაქტორი, ბ-ნი მაჰმუდ-სადიგი:

„დღეს იერუსალიმიდან სტამბოლში დაბრუნდება ეპის. იზმირლიანი, რომელიც თვითმპყრობელობის დროს, ყველაზე მეტათ დაიტანჯა, თავის სამშობლოსთვის თავდადებულ სიყვარულისათვის. ჩვენ იზმირლიანს ვაჯილდოებთ ყველაზე მეტათ, რადგანაც ის წარმოადგენს მთელ სომხობაში ერთათ-ერთ პიროვნებას, რომელსაც თავისი თავი შეუწირავს სამშობლოსა და თავისუფლებისათვის. როდესაც დავუკვირდებით, რომ იზმირლიანი წინაალმდეგ დაუდგა მთელ მონარქიის ყველა ბნელ ძალებს და თავგანწირულებით დაიცვა ხალხი,—ჩვენი აღტაცება უსაზღვრო იქნება“.

სტამბოლიდან გვატყობინებენ, რომ ახლაც კი ურიცხვი ხალხი მოდის ეპისკოპოს იზმირლიანის სანახავათ, თუმცა იგი შეუძლოთ არის. ყოველ დღე მას ევროპის სხვა და სხვა ადგილებიდან მოლოცვის დეპეშები და წერილები მოსდის ეგრეთ წოდებულ „იზმირლიან მამას“, რომელთაც თითეულათ პასუხს უგზავნის. ყოფილ პატრიარქ ორმანიანს თავის carte visite გაუგზავნია ეპ. იზმირლიანისთვის და მიულოცავს მისი მშვიდობანათ ჩამოსვლა.

პრინცი საბაედინი ამ დღეებში, რამდენიმე ახალგაზდა ოსმალებთან ერთათ ვიზიტით მისულა საპატრიარქო მოადგილე ეპისკ. ეღიშე დურიანის სასახლეში, სადაც წარმოუთქვამს მხურვალე სიტყვა, რომლითაც თავისი და ყველა ახალგაზდა ოსმალთა სიმპატია გამოუცხადებია სომეხ ერისთვის. სასახლიდან გამოსვლის დროს პრინცს და ყველა იმათ, ვინც ახლდენ, შეუძახნიათ: „იაშასნ ერმენილერ“—„გაუმარჯოთ სომხებს“!

— სტამბოლში მცხოვრები მდიდარი მეზამულე მაკედონელებს, რიცხვით ორას კაცამდე, გამოუცხადებიათ, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს, თავიანთი ხმა უნდა მისცენ სომხების მიერ დასახელებულ დეპუტატს.

— ვანიდან „მშაკ“ სწერენ,—საარჩევნო ბრძოლა

დაწყებულია; მეჯლისისათვის დეპუტატები უნდა ამოარჩიონ. ბურჟუების კანდიდატია თერზიბაშიანი, რომელსაც ერთ მიტინგზე კრიტიკა გაუკეთეს ჰნჩაკისტებმა და დაშნაკცაკანებმა, როდესაც მან ახსნა თავისი პროგრამა. ვანის ყველა მცხოვრებმა იცის, რომ დაშნაკციუტუნს არა ჰყავს სახელოვანი კანდიდატი, მაგრამ ცდილობს ძალით, უჩუმრათ გლეხების ხმა შეიძინოს და ამრიგათ, თავისი კანდიდატი გაიყვანოს. ამ საქმეს დიდი ზიზღი გამოუწვევია ხალხში. ჰნჩაკისტების კანდიდატია ბ-ნი მარტიროს ნალბანდიანი, ვანის ერთ-ერთ სკოლის ინსპექტორი, რომელსაც დიდი სახელი და პოპულიარობა აქვს. ვნახოთ, ხალხი ვის არგუნებს თავის წარმომადგენლობას. იმედია, რომ დაშნაკცაკანებმაც ხმა შეუერთონ ჰნჩაკისტებს და მ. ნალბანდიანი ამოარჩიონ.

— ერზერუმიდან გვატყობინებენ, რომ იქ საპარლამენტო დეპუტატათ ასახელებენ სტამბოლში მცხოვრებ ცნობილ ვექილს, ჰმაიაკ ეფენდი ხოსროვიანს, რომელიც ჰნჩაკისტების პარტიას ეკუთვნის და მხურვალე მონაწილეობას იღებს პარტიულ საქმეებში. ოსმალებიც კი თავიანთ ხმას მას აძლევენ. ამბობენ, რომ უსათუოთ იგი დეპუტატათ იქნება ამორჩეული.

Artemius.

---

## ისევ რობაქიძის ლექციის გამო

(წერილი ქუთაისიდან)

ბ. გრ. რობაქიძე ამ შემოდგომაზე ისევ შეუდგა თავის საფილოსოფო თემებზე ლექციების კითხვას. იგი, როგორც ეტყობა, მეტათ განუდრეკელ ენერგიის კაცი უნდა იყოს: მისი ფილოსოფიისა საზოგადოების არა თუ უმრავლესობას, 5—10 პროცენტსაც არ ესმის რა და ამნაირათ, მათ უსარგებლოთ აკარგვინებს დროს. მან, პრესის ერთი ნაწილის რჩევა—რომ თავი გაენებებინა აქ ამგვარ ფილოსოფიურ საკითხებზე ლექციების კითხვისათვის და უფრო რეალურ, პრაქტიკული, ჩვენში გამოსადეგარ საამდროვო საკითხების შემუშავებისათვის მიეყო ხელი,—აინუნშიაც არ გაიკარა, მტრულის თვალით შეხედა, თითქოს ვისმე მისი ნაუცფათევი სახელგანთქმულობა შეშურებოდეს და ამ სახელის დაცემას შეცდილიყოს.

პრესის მეორე ნაწილმა კი—აქაო და კავკასიას საზღვარ-გარეთიდან ფილოსოფიურათ მომზადებული ვილი დაუბრუნდა სოც.-დემოკრატების და საზოგადოთ მარქსიზმის მოძღვრების წინააღმდეგო, დაჭკრეს ბუკი და ნაღარა. ჩამოსვლისათანავე ფიანდაზათ დაეგენ მას, სარეკლამო დარბაზობა ბევრი გაუმართეს და პრესითაც საკმაო მასპინძლობა გაუწიეს. ამნაირათ, ჩვენ მოღვაწე ინტელიგენციასა და მათ ამყოლ მაღალ წრეებში მან შეგობარ-თაყვანისმცემლები ხელათ გაიჩინა და ასე მალე და ადვილათ მოიგო ქართველთა ჩვილი გული ამ ახალგაზდა „მეცნიერმა“. ეს ერთი წელიწადია მან კავკასიის ყველა ქალაქების საზოგადოება, ბაქოდან მოყოლებული შავი ზღვის პირამდი თავის იდეალისტურ საფილოსოფო თემებზე ლექციების კითხვით შეაჯერა. თემებათ ხომ მოდური, ახალი, სასენსაციო საკითხები აქვს აღებული. მოდა კი ჩვენ დროში ისეთი სენია ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში, როგორც მოარულ სენთა ბაცილები კაცის სხეულისათვის.

ჩვენებური უკულტურო, ფილოსოფიურ საკითხებისათვის მოუმზადებელი საზოგადოება თავდაპირველათ მეტათ გაიტაცა ახლათ მოვლენილ მოფილოსოფოსე ახალგაზდის ლექციებმა და მას მიყვა ორთავე სქესის ახალგაზდობა ყველანაირ საშუალო სასწავლებლებისა. ამ გატაცებაში კი გასათხოვარ და გათხოვება შეგვიანებულ ქალებმა, როგორც მათ ყველაფერში ჩვევიათ, სულ გადააპარბეს ვაჟებს. და, რაკი ბ. რობაქიძე თავის ლექციების გარემოებას ყოველთვის ეფექტებით რთავს, არტისტულის მანერებით, რიხით და გაბედულობით ზეპირათ კითხულობს მათ და თან ორატორს გარეგნობაც ყოველივე ამაების შესაფერისი აქვს,—ესეც ამათ მოსწონთ და საზოგადოებისათვის საყვარელ რომელიმე არტისტსავით „Душка Робакидзе“-ს ეძახიან.

მესმის და მოსწონია შეგნებული გატაცება რაიმე საგნით, საქმით, მუსიკით, არტისტის თამაშით და სხვა და სხ., მარა გატაცება ისე შეუგნებლათ, ბრმათ, წახედულობით, როგორც დღეს კავკასიის ქალაქებში საზოგადოების ერთ ნაწილს ტენდეციურათ მოსდის და ახალგაზდობაც მათ გულუბრყვილოთ აყოლია,—ეს სწორეთ დასაძრახისთან ერთათ დასაგმობიცაა. დიდი უმრავლესობა ახალგაზდობისა ამ ლექციებზე მხოლოთ წახედულობით დაიარება და ისე არაფერი ესმის ბ. რობაქიძის ბუნდოვან ფილოსოფიის, როგორც ჩინეთის მეფეს ქართული ენის. დრო კი თითო ლექციაზე 5—6 საათი ტყუილა ეკარგებათ მსმენელებს; მარა ლექტორმა, ეტყობა, კარგათ იცის, რომ ქართველებს მომჭირნე ინგლისელებივით დრო ფულზე არ გადააქვთ და თითოოროლა საათს დანიშნულზე მეტს აკარგვინებს მსმენელებს. ასე, რომ ის მცირეოდენი ნაწილი ახალგაზდობისა, რომელიც ამ ლექციებზე ცოდნის შეძენის მიზნით დაიარება, ჩემის დაკვირვებით, ვერაფერს მთლიანს ვერ შეიძენს, გარდა ათასჯერ ნათქვამ აფორიზმულ წინადადებათა. ეს მით უფრო ნამდვილი გამოდგება, თუ მივიღებთ მხედველობაში ლექტორის სხაპასხუპით ლექციების კითხვას, რასაც ფილოსოფიურ აზროვნებას შეუჩვეველი ჩვენებური მსმენელი დაკვირვებას, დამახსოვრებას ვერ ასწრებს. მართალია, ახალგაზდა ლექტორი თავის ლექციებში მრავალ საინტერესო საკითხებს ძრავს და სურს მათი ახალი, თავისებური (sic!) ფილოსფიური შეხედულებით გარკვევა, მარა მათ ისეთი ლირიკულ, მიხვეულ-მოხვეულ ბურუსით აზავებს, რომ მსმენელს სულ უკარგავს ძაფს ამა თუ იმ ლექციის უმთავრეს იდეის, აზრის გაგებისას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქუთაისში წაკითხულ სამი ლექციის *) მსმენელთაგან ხუთი

*) წასულ კვირაში ბ. რობაქიძემ სამ შემდგ თემაზე წაიკითხა ლექციები: 1) „Проблема личности“, 2) „Трагедія

კაცი არ გამოჩნდება, რომლებმაც შესძლონ ამ ლექ-ციების შინაარსის, დედაზრის დალაგებით გადმოცემა, ან აღწერა.

მაშ, რათ იტყუებს თავს საზოგადოება, რომელიც, მართალი უნდა ვთქვათ, პრაქტიკულ ცხოვრებშიაც ამასვეა შეჩვეული და განსაკუთრებით მოსწავლე ახალ-გაზდობა, რომელიც სწავლა-ცოდნის შეძენის მეორე საფეხურზე—საშუალო სასწავლებელში, ზერელე, მოდურათ კი არ უნდა ეჩვეოდეს და ეწეოდეს მეცნიერების ტაძარ-უნივერსიტეტში ფეხის შედგმას, იგი თავის ნორჩ ბუნებას, ნიჭს აქედანვე უნდა აწრთობდეს ნამდვილი ცოდნის შეძენისათვის. იგი გატაცებით, წახედულობით მოდურ საქმეებზე, თუ საგნებზე, როდი უნდა კარგავდეს თავის ძვირფას დროს, არამედ აქვე უნდა უყრიდეს, უმზადებდეს ნიადაგს თავის ნიჭს სამეცნიერო ტაძარში პირნათლათ შესასვლელათ და იქ სწავლა-ცოდნით დასაგვირგვინებლათ...

ქუთათურ მოზარდ თაობაში კი სამწუხაროთ ჩვენდა, ასეთი მიდრეკილება ქალ-ვაჟთა სასწავლებლებში, ასი ნ 5 პროცენტს არ ემჩნევა და საზოგადოებაც ამ მოვლენის ძალიან გულგრილათ უყურებს, ბოლოს კი ესენი ძალიან საყვედურობენ, ჩვენი სტუდენტობა არ ვარგა, წახდა და გაფუქსავატდა და სხვ. და ეს ასეც უნდა ხდებოდეს, რადგან იქ, დიდ ქალაქებში, სადაც ახალგაზდისათვის ათასგვარი გასართობები და მაცდური რამეებია, იქ მოუმზადებელი სტუდენტობა ებმება ამ მახეებში, **„ცხოვრებას იწყებს“ და** არა სამეცნიერო ტაძარში ნამდვილ მეცნიერების გულმოდგინე შეძენას მისდევს; ასე, ვხედავთ, ისინი 5-6 წელიწდს და ბევრი მეტსაც მისთვის არიან, რომ დიპლომი შეიძინონ, რათა მით სამსახურში თავი შეყონ, თბილი ადგილი იშოვნონ...

აი, ახალგაზდობის ასე ჩამოქვეითების, დაწვრილმანების ერთ მიზეზთაგანათ, დაუდევარ საზოგადოებასთან ერთათ, მათი (ახალგაზდობის) მოდური საგნებით გატაცება მივიჩნიე, ხოლო ბ-ნი რობაქიძე და მისებური მოძღვრები, რაკი ამ მოდურ გატაცებას ხელს უწყობენ, დამნაშავეთ ჩავთვალე, რადგან ესენი ახალგაზდობას დროს აკარგვინებენ, მათ ნორჩ აზროვნებას ბურუსში ხვევენ, ჭეშმარიტ გზას აცდენენ და სულ უკარგავენ ხალისს ნამდვილ, რეალურ-პრაქტიკულ ცოდნის შეძენისას...

აი. ამიტომ, ამასწინათ პრესაში („ხომლი“ № 4, 6 და 7), გულწრფელათ გამოვთქვი ის აზრი, რომ ბ. რობაქიძის ლექციებს აქ, კავკასიაში, ადგილი, ნიადაგი არ აქვსთქო. მას თავისი ფილოსოფიური მომზადებით შეუძლია მიემატოს რუსეთში დღეს მოფილოსოფსე წრეს მწერლებისას მერეკოვსკის, ბერდიაევს, როზანოვს, კისტოფოვსკის და კამპანიას, რომელთაც რუსულ სამეცნიერო მწერლობაში ეთგვარი საფილოსოფიო მიმდინარეობა შექმნეს. იქ, ამათ აუდიტორიაც უფრო მომზადებული ყავთ და თუ ჩვენ თანამემამულეს მწერლობაშიაც ასე ძლიერათ მიიჩნია თავის თავი, როგორც ლექტორობაში, ფართო მოედანსაც რუსეთის მწერლობა წარმოადგენს და იქ ისახელოს თავი, რაკი ახალის თქმისათვის ძალ-ღონე ერჩის. მე ბ. რობაქიძის დაახლოვებული მეგობარი არ ვარ, მარა როგორც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათა ერთი თავდადებული მეთვალყურე, სწორეთ აშკარათ ვურჩევ მან თავის მომზადებით რუსეთსა და რუსულ ლიტერატურაში იმოღვაწეოს და, უეჭველია, თუ კი იგი სამეცნიერო ძალას წარმოადგენს, იქ უფრო შეგნებულ აუდიტორიას გაიჩენს, დაღსაც დაამჩნევს და ნაყოფსაც მოუტანს მეცნიერებას. განა ჩვენი თანამემამულეები არ იყვენ აკადემიკოსი ივ. თარხნიშვილი პეტერბურგში, და პროფესორი ვ. პეტრიაშვილი ოდესაში, რომ თავი ისახელეს მეცნიერების გაფართოება-გაღრმავებაში?

მართალია, თფილისში ამასწინათ ყოფნის დროს ბ. რობაქიძის ერთმა მეგობარ-რედაქტორთაგანმა პირველ შეხვედრისთანავე ძალიან მისაყვედურა: აუტყდით ამ კაცს, აქ არ აყენებო, რუსეთში ერეკებით და გულდაწყვეტილი მითხრა, ის მაინც ტოვებს საქართველოს და რუსეთში მიდისო და მეც ვუპასუხე: თუ კი ის ისევე განაგრძობს მოღვაწეობას, როგორც დაიწყო, ვურჩევ იქ წავიდეს, გზაც მისი იქით არისთქო. დღესაც, როცა წასულ კვირაში სამი მისი ლექცია მოვისმინე კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ მისთვის კავკასიაში სწორეთ ნიადაგი არ არის, თითონაც ტყვილა ცდება და როგორც ეტყობა, წვრილმანდება და სხვასაც აკარგვინებს დროს.

ამიტომ, უმჯობესია მან თავის მომზადებით რუსეთსა და რუსულ ლიტერატურაში იმოღვაწეოს და თუ რამე ახალი აქვს ფილოსოფიაში სათქმელი, აუდიტორია იქ გაიჩენოს, უფრო დაღს დაამჩნევს და ნაყოფსაც მოუტანს მეცნიერებას. ჩვენ კი დღეს უფრო რეალურ ნიადაგზე, რეალური საქმეებისა და საკითხებისა-

---

человѣчества въ произведеніяхъ Ибсена“ და 3) „Философія красоты“, რომელზ დაც მსმენელთა შორის ქალები სპარბობდენ. სინამდვილე მოითხოვს შევნიშნოთ, რომ ახლანდელ ლექციებზე, წინანდელთან შედარებით, გაცილებით ნაკლები მსმენელი დაესწრო, განსაკუთრებით პირველ ლექციაზე, რომ-რომლის შამოსავალი ილიას სახელობის საქალაქო სკოლის სასარგებლოთ იყო დანიშნული. ამ დღეს თეატრი სანახევროთ კარიელი იყო. საზოგადოთ, უნდა შევნიშნოთ, რომ რობაქიძის ახლანდელ ლექციებისადმი საზოგადოებას ერთგვარი ბულგრილობა დაეტყო. სახელდობრ ის, რომ ვინც პირველ ლექციაზე მოდიოდა, მას მეორეზე ვეღარ ხედავდი, ვინც მეორეზე შებვხვდებოდა, იგი მესამეზე აღარ იყო და ამნაირათ, კონტინგენტი მსმენელების თითეულ ლექციაზე იცვლებოდა. დამკვირე მეთვალყურე შეატყობდა. მსმენელების ბულგრილობას, იმედის, მოლოდინის დაკარგვას. ერთმა, ქუთაისში კარგათ ცნობილმა დამკვირე ი ტელიბენტმა, პირველი ლექციის მოსმენის შემდეგ თეატრის კარებში მიმავალმა თავის მეგობარს ამ ჩვენ, ახალგაზდა ლექტორის დამახასიათებელი სიტყვები წაულაპარაკა; Напрасно онъ заставилъ насъ продержать 2—3 часа, чтобы подконецъ выслушать 2—3 теплихъ словъ о себѣ и своей философіи და მართლაც, ეს ინტელიგენტი შემდეგ ლექციაზე .ღარ გვინახავს.

თვის, მეცნიერულათ მომზადებული ახალგაზდები გვესაჭიროება. ბ. რობაჭიძის მეგობრებიც ამავეს უნდა გრძნობდენ, მხოლოდ აშკარათ ამის თქმა ეტყობათ ვერც მისთვის, ვერც სხვისთვის ვერ გაუბედნიათ...

**ისო.**

(ილ. ავალიანი)

Ne sutor supra crepidam.*)

(მოკლე ბასუნი „ეკალს“).

წაიკითხე „ეკალის“ 25 №-ში თქვენი „კრიტიკა“ ჩემ წერილის შესახებ და გაგაზარდე იქ... სადაც მისი ადგილია.

და რადგანაც თქვენ, ბატონებო, ალბათ მუდამ თვალთ „ბანქაოვანლიზმი“ და „ნაციონალიზმი“ გეჭირვებათ, ამისა თვის საკმაოდ არა ვგონობ თქვენთან ბოდეშეკვს, ბასუნის მოცემა შეიძლება, როდესაც თქვენ ზემოხსენებულ დაოინურ ანდაზას შეიგენებთ და თქვენ თავს ძალას არ დაატანთ კრიტიკა გაუკეთოთ ამ ბეჯარ ზრვებს, რაზედაც სრულიათ გაგონებია არა გაქვთ. „ჩვენ კვალში“, რომ ნაციონალიზმისა და ბანქაოვანლიზმის იდეის ბჭალვადე, ა რიმე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიდრეკილებას ვამჩნევდეს, მაშინ მე ჩემს ალაგს ნებას არ მივცემდი მათს ორგანოში რაიმე წერილი მომეგზავნინა. უნდა გაგონობთ, რომ მე „მაჭმადიანი“ ვარ და „დორის ხორცს“ არ ვიწუობი. მე **სომეხი** გახლავართ და იმდენათ ვფ ქრობ „ბანქაოვანლიზმის“ და ქართველთა ნაციონალიზმის შესახებ, რამდენათაც თქვენ მოწადინებული ხართ, გაანარხისტებენ.

ესეც უნდა გითქვა, რომ „ჩვენი კვალის“ წინააღმდეგ დემაგოგობაში თქვენ, ჩვენს დამ ეკეკანებს არ უვარდებით, რადგანაც ისინი თქვენ ნაირ ბრალტიკას ადგანან თავის იდეის მოწინააღმდეგეთა ბრძოლაში. მეუხედავთ ამისა, რომ თქვენ არ მოგეწონათ ჩემი წინადადება, მე ძალიც კიდევ გაგიმეორებ, რომ საკმაოდ უარადდება მიექცეს ოსმალეთის ქართველების გამოდვიძებას. ამათი რიცხვი ერთობ საკმარ ობელია. ქართველი მაჭმადიანები უმთავრესათ ცხოვრობენ ოსმალეთის შემდეგ ადგილებში: ათა ნ, ირაზე, ხობე, არხვი, საურმენე, ბურუქ-სუ, რიზე, ტრაბიზონი და სხვა ეს ადგილები ტრაბიზონის ვილაიეთია. მათგან ერთი ნ წილი, რომლებიც და ბარკაბენ ქართულ ენის დიალექტზე, ადგილობრივი მცხოვრენი არიან. წმინდა ქართულ ენაზე მოლაბარაკენი კი გაძლისდებულან 1874—6 წ. ომის დროს. თუმცა იგინი მაჭმადიანებთ ითვლებიან, მაგრამ ოსმალები მათ ა �ლაც კი „ბ ურჯის“ ეძახიან. ამ ხალხს საოსმალურ დიტერატურაში „ეგეკრაციქს“ უწოდებენ (ეგეკერლები), ოსმალურათ კი ლაზებს ეძახიან. მათი რიცხვი 700,000—800,000-დის არის. ამათი ერთი ძალიან მცირე ნაწილი უკვე გაოსმალებულა და ოსმალურ ენაზე ლაპარაკობს *).

Artemius.

*) მეჩეკმეკ, ჩეკმის მაღლა ნუ ხტები! ლაკ. ნათქვამი მხატვარ აპელესის მიერ.

**) ამ ცნობების მოსაყვანათ ვისარგებლე სომეხ ეტნოგრაფ აპარიანის ერთ-ერთი თხზულებიდან, რომელშიც დაწვრილებით მოყვანილია ამ საკითხის შესახებ ძვირფასი ცნობები.

Art.

რედაქტორ-გამომცემელი **ოსეფ ბარამიშვილი.**


# განცხადებანი.

რედაქციისაგან:

ვინც **„ჩვენ კვალს“**

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს

**პრემიათ** პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა

**კრებულს**

**რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.**

**ჩვენი კვალი**

წასული ნომრებით წლის ბოლომდე ღირს — — **3** მან.
სექტემბრიდან — — — — — — — — — — **2** „

ხელის მოწერა მიიღება თბილისში—რ. დაქციაში; ქუთაისში—აპტეკა „იმერეთში“. ქუთათურ ხელის მომწერთ გაზეთი პრემიით დაურიგდება კანტორა „იმერეთში“

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

---

რედაქციისაგან:

**„ჩვენი კვალი“-ს 23 ნომრიდან“** დაიწყება ბეჭდვა ცნობილ ავტორის **ლეონიდ ანდრეევის** პიესის

**„ მეფე შიმშილი “-სა**

თარგმანი ქ-ნი **განდეგილისა.**

---

1908 წ. ენკენისთვის 1-დან ქუთაისში
**ნ. ლ. მიქელაძის ასულმა**
მთავრობის ნებართვით გახსნა მე-3 ხარისხის

**ქალთა სკოლა**

პროფესიონალურ განყოფილებით

ასწავლიან: 1) სრულს კურსს ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლისას.

2) სრულს კურსს ქრა.კერვისას, სხვა და სხვა დარგის ხელთ-საქმარსა და შლიპის ხელობას.

**სწავლის ქირა წელიწადში 36 მანეთი.**

თხოვნები მიიღება სასწავლებელში. ტფილისის ქუჩა, სახლი ნესმაშინის (ადრე სანიკიძისა).

---

**ახალ გახსნილი სახელოსნო**

**მხატვარი**

**ვ. ე. რევაზოვის**

ვღებულობ სამუშაოს ყოველგვარ სავიზიტკა, სავარაყო, სამხატვრო, სამღებვრო და საბაკეტოს.

საქმეს ვასრულებ კარგათ და სანდოიერათ, რაშაც შეუძლიათ მატივეტუულ შეკვეთებს ვარწმუნებენ.

**ადრესი: Разъѣзжая ул. д. Попова, № 11, въ 9 уч.**


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.